



საქართველოს ეროვნული მუზეუმი
Georgian National Museum

ოთ. ლორთქიფანიძის არქეოლოგიური კვლევების ინსტიტუტი
OTAR LORDKIPANIDZE INSTITUTE OF ARCHAEOLOGICAL INVESTIGATIONS

ქ ი ე ბ ა ნ ი

საქართველოს არქეოლოგიაში

№ 25

D Z I E B A N I

Journal of the Georgian Archaeology

თბილისი

2022

Tbilisi

UDC (უპკ)
902(479.22)
ძ-531

რ ე დ ა ქ ც ი ა : გ. კვირკველია (რედაქტორი),
დ. კაჭარავა

**Editors of the volume: G. Kvirkvelia (editor-in-chief)
D. Kacharava**

წინამდებარე ნომერი ეძღვნება ვანის არქეოლოგიურ ექსპედიციის მიერ 2007 წელს ვანის ნაქალაქარზე აღმოჩენილ განძს, რომელიც შეიცავდა ანტიკური მხატვრული ტორევიტიკის არაერთ შესანიშნავ ნიმუშს. კრებული სულ ორი სტატიისაგან შედგება. პირველში განხილულია განძის აღმოჩენის პირობები და მის შემადგენლობაში აღმოჩენილი ნივთები, ხოლო მეორეში გადმოცემულია განძის ერთ-ერთი კომპონენტის - სარეცლის ფეხების ბრინჯაოს გარსაკრავების შესწავლის შედეგები.

ISSN 1512-0589

შ ი ნ ა ა რ ს ი
C o n t e n t s

დიმიტრი ახვლედიანი, დარეჯან კაჭარავა, სულხან ხარაბაძე ვანის ნაქალაქარზე 2005 და 2007 წლებში ჩატარებული არქეოლოგიური გათხრების ანგარიში	5
Dimitri Akhvlediani, Darejan Kacharava, Sulkhan Kharabadze Results of archaeological excavations at the Vani site in 2005 and 2007 (Summary)	14
გურამ კვირკველია სარეცლის ფეხების ნაწილები ვანის 2007 წლის განძიდან	64
Guram Kvirkvelia The bronze couch legs from the hoard found in Vani in 2007	80

**ვანის ნაქალაქარზე 2005 და 2007 წლებში ჩატარებული არქეოლოგიური
გათხრების ანგარიში**

ჩვენი ნაშრომის მიზანია სამეცნიერო მიმოქცევაში შევიტანოთ ვანის ნაქალაქარის ქვედა ტერასის, სამხრეთ-აღმოსავლეთ კიდეზე 2005 და 2007 წლებში ჩატარებული გათხრების შედეგები (ტაბ. I; ტაბ. II). აღნიშნულ ფართობზე, სხვა მნიშვნელოვან ძეგლებთან ერთად, გამოვლინდა ისეთი უნიკალური კომპლექსი, როგორცაა განძი. წინა წლებში განხორციელებული პუბლიკაციები სწორედ ამ განძს, მასში შემავალ ნივთებსა და საველე-არქეოლოგიური სამუშაოების მოკლე ანგარიშს ეძღვნება [ახვლედიანი, 2008: 129; ახვლედიანი, 2010: 11-12; ახვლედიანი და სხვ., 2010: 33-44; ლორთქიფანიძე ნ., 2010: 21-22; მეიში და სხვ., 2010: 15-17; Akhvlediani etc., 2016: 182-191; Chichinadze etc., 2013: 2237-2253; Квирквелия, 2018: 177-197]. ამჯერად, ვრცლად იქნება წარმოდგენილი ის კონტექსტი, რომელშიც ეს განძი არის აღმოჩენილი.

აღნიშნული ტერიტორია მდებარეობს კერძო პირის საკარმიდამო ნაკვეთში, ლობის გასწვრივ (ტაბ. II, III), ასე რომ თხრილის მორგება კვადრატულ ბაღზე ვერ მოხერხდა. ამის გამო იგი ჩრდილო-დასავლეთიდან სამხრეთ-აღმოსავლეთისაკენ არის ორიენტირებული (ტაბ. IV, გეგმაზე – 1). ჩვენს მიერ შესწავლილ ფართობს სამხრეთ-აღმოსავლეთიდან უშუალოდ ესაზღვრება ხევი, რომელშიც „საქვაბიას ლეღე“ მიედინება; 2005 და 2007 წლებში შესწავლილი ფართობის მახლობლად, ჩრდილო-აღმოსავლეთით – ნაკვ. 186-ში გამოვლენილია გადამწვარი ნაგებობის ნაშთები [ლორთქიფანიძე და სხვ., 1972: 96-110] და ე.წ. „სატაძრო კომპლექსის“ მიმდებარე ტერიტორია [მათიაშვილი, 2013], (ტაბ. IV, გეგმაზე – 2), დასავლეთით, დაახლოებით 50 მ-ის დაშორებით – „მოზაიკურიატაკიანი ტაძარი“ [ხოშტარია და სხვ., 1972: 171-174; ხოშტარია და სხვ., 1972: 176-179]; ჩვენს მიერ შესწავლილი თხრილი მოიცავს – ნაკვ. 202, კვ. e1-3, f1-4, g1-4, h2-5, i3-6, k4-9 და ნაკვ. 203, კვ. a5-9, b6-9, c7-10, d8-9 (ტაბ. V), რომლის ფართობი 105 მ².

2005 წლის კამპანიის დროს, თავდაპირველად ორი თხრილი დაიდო, რომლებიც ერთმანეთისაგან უღლით იყვნენ გამოყოფილნი. პირველი – ნაკვ. 202 კვ. e1-3, f1-4, g1-4, h3-4 (ტაბ. VI), მეორე – ნაკვ. 202 კვ. h4-5, i3-6, k4-7; ნაკვ. 203 კვ. a5-7, b5-7 (ტაბ. VIII-2). შემდგომში ეს ორი მონაკვეთი გაერთიანდა (ტაბ. VII3).

2005 წელს აღნიშნული მონაკვეთის სამხრეთ-აღმოსავლეთი კიდე ბოლომდე ვერ გაითხარა. ამი-

ტომ შესწავლილი ნაწილის ჩრდილო-დასავლეთ მხარეს რიყის ქვებისაგან ყორე იქნა ამოყვანილი და თხრილი მიწით ამოივსო (ნაკვეთის მფლობელთან დადებული ხელშეკრულების თანახმად).

2007 წლის კამპანიის დროს განახლდა 2005 წელს ბოლომდე გაუთხრელი ფართობის – ნაკვ. 202, კვ. i5-6, k5-7; ნაკვ. 203, კვ. a5-7, b6-7 შესწავლა (ტაბ. VIII1,3-4; IX). ამავე დროს გაიჭრა ახალი თხრილი – ნაკვ. 203, კვ. a7-8, b6-9, c7-10, d8-9 (ტაბ. VIII1-4; IX). გათხრების საჭიროებიდან გამომდინარე, შესწავლილი ფართობი გაფართოვდა სამხრეთ-დასავლეთ მხრიდან 2x2, ნაკვ. 202, კვ. h7-10, ნაკვ. 203, კვ. a8-9 (ტაბ. IX).

გათხრების შედეგად დადგინდა ფენების შემდეგი თანამიმდევრობა: კორდოვანი ფენის ქვეშ, გამოვლინდა რამდენიმე ქვაყრილი, დამწვარი და დაშლილი ალიზის აგურის ფენა. ქვაყრილები ძირითადად თხრილის ჩრდილო-დასავლეთ მხარეს მდებარეობდა, ხოლო დამწვარი ალიზის ფენა – სამხრეთ-აღმოსავლეთით (ერთ ქვაყრილს ეს ალიზის ფენა ჰქონდა ჩაჭრილი).

2005 წლის კამპანიის დროს გათხრილი პირველი თხრილის ჰუმუსური ფენის სიმძლავრე თხრილის ჩრდილო-დასავლეთ მხარეს შეადგენდა 1,45 მ-ს, ხოლო სამხრეთ-აღმოსავლეთ მხარეს 0,6 მ-ს. მის ქვემოთ დაფიქსირდა ქვაყრილები. პირველი ფენა ქვაყრილისა გაიწმინდა თხრილის ჩრდილო-დასავლეთ ნაწილში (ნაკვ. 202, კვ. e2, f1). ყრილი შედგებოდა რიყის ქვებისგან, რომელშიც შერეული იყო ქვიშაქვის, კირქვის და კრამიტის ნატეხები (ტაბ. VII). იგი მკვეთრად ეშვებოდა ჩრდილო-დასავლეთიდან სამხრეთ-აღმოსავლეთისაკენ (ტაბ. XI).

მეორე ყრილი (სიმძლავრე – 0,20 მ) მდებარეობდა ზემოთაღწერილის სამხრეთ-აღმოსავლეთით. ის შედგებოდა რიყის ქვის, ქვიშაქვისა და ტუფისაგან, რომელშიც შერეული იყო კრამიტის ფრაგმენტები. ქვები ძალზე დაშლილია, ზოგიერთზე ჩანს ცეცხლის კვალი – გაწითლებულია. ეს ქვაყრილი მოიცავდა ნაკვ. 202-ის კვ. f2-4, g1-4, h2-4 (ტაბ. VII1-2; X2). ქვაყრილში აღმოჩნდა შემდეგი სახის მასალა: ქვევრების (№№ 07:1-05: 803-804,823; ტაბ. XXIV1), დერგის (№ 07:1-05: 820; ტაბ. XXIV2), კოლხური ამფორების (№№ 07:1-05: 809-811,819; XXIV3-5) ფრაგმენტები, თიხის საწაფები (№№ 07:1-05: 808,822; XXIV6). აღსანიშნავია ბრინჯაოს მოვერცხლილი კოვზი (№ 07:1-05: 824, ტაბ. XXIV7).

მესამე ქვაყრილი (სიმძლავრე – 0,95-0,20 მ) გამოვლინდა პირველი და მეორე ქვაყრილების ქვეშ, 0,30-0,40 მ-ით დაბლა, შედგებოდა ქვიშაქვისა და კრამიტის ფრაგმენტებისაგან. ის მოიცავდა ნაკვ. 202-ის კვ. e2, f1-4, g2-4, h2-4 (ტაბ. VI3; XI1). მესამე ქვაყრილი შეიცავდა უმნიშვნელო რაოდენობის მასალას ძვ.წ. III-I სს-ის ქვევრის კელის ფრაგმენტები (№ 07:1-05: 793-798).

მეოთხე ქვაყრილი აღმოჩნდა ნაკვ. 202, კვ. i6, k5-7, ნაკვ. 203, კვ. a5-7-ში (ტაბ. VII1). ეს ქვაყრილი ზემოთაღწერილი ყრილებისაგან გამოყოფილი იყო კლდოვანი დედაქანით, შედგებოდა რიყის ქვებისაგან, ქვიშაქვისა და კირქვის ნატეხებისაგან, შერეული იყო კრამიტის ფრაგმენტებიც (სიმძლავრე – 1,00-1,20 მ, სივანე – 3,00-3,20 მ). ჩაჭრილი აქვს დამწვარი ალიზის აგურის ფენა (ტაბ. XI2; XIV).

მესამე ქვაყრილის ქვეშ გამოვლინდა დამწვარი ალიზისა და დანახშირებული ძელებისაგან შემდგარი ფენები. პირველი ფენა (სიმძლავრე – 0,20 მ) მოიცავდა ნაკვ. 202, კვ. g4, h3-5, i4 (ტაბ. VI3; XII1). მეორე ფენა მდებარეობდა ნაკვ. 202, კვ. i6, k5-7, ნაკვ. 203, კვ. a5-7 (ტაბ. VII1-2). ეს ორი ფენაც ერთმანეთისაგან გამოყოფილი იყო კლდოვანი დედაქანით (ტაბ. VII3 – ჭრილი).

დამწვარი, დაშლილი ალიზისა და კრამიტის ფრაგმენტებისაგან წარმოქმნილ ფენაში აღმოჩნდა შემდეგი სახის მასალა: კრამიტების ფრაგმენტები (№№ 07:1-05: 791-792; ტაბ. XXIV8), ქვევრის ფრაგმენტი (№ 07:1-05: 788), კოლხური ამფორის (?) ყელისა და ყურის ფრაგმენტი (№ 07:1-07:169; ტაბ. XXIV9; XXV1), კოლხური ამფორის ქუსლი (№ 07:1-07:170; ტაბ. XXIV10; XXV2), ყავისფერკეციანი ჭურჭლის ყურის (№ 07:1-07:171), ყავისფერკეციანი ჯამის პირკალთის (№ 07:1-07:172; ტაბ. XXV3), ყავისფერკეციანი ჭურჭლის ხუფის (?) კიდის (№ 07:1-07:173; XXV4), ღოქის (?) ყელისა და მხრის (№ 07:1-07:174; ტაბ. XXV5), ყავისფერკეციანი იხთიის (სათევზე ლანგრის) ძირის (№ 07:1-07:175; ტაბ. XXIV12; XXV6), ყავისფერკეციანი ჭურჭლის ძირისა და ქუსლის (№ 07:1-07:176; ტაბ. XXV7), ყავისფერკეციანი ბრტყელძირა ჭურჭლის ფრაგმენტები (№№ 07:1-07:177-178; ტაბ. XXV8), იმპორტული შავლაკიანი თასის პირკალთის, ძირისა და ქუსლის 4 ფრაგმენტი (№ 07:1-07:179; ტაბ. XXIV13; XXV9), იმპორტული ღიაფერისკეციანი უნგვენტარიუმის (?) ქუსლის ფრაგმენტი, ძალზე დაზიანებული (№ 07:1-07:180; ტაბ. XXIV11; XXV10), კრამიტის რკინის სამაგრები (№№ 07:1-07:181-184).

ნაკვ. 202, კვ. i6, k5-6, ნაკვ. 203, კვ. a5-ში

ჰუმუსური ფენა უშუალოდ ადევს დედაქანს (ტაბ. VIII1; XII2). ნაკვ. 202-ის i6, k5-6 და ნაკვ. 203-ის a5-6 კვადრატებში ჰუმუსი ზემოდან ფარავდა დამწვარი, დაშლილი ალიზის აგურისა და კრამიტის ფრაგმენტებისაგან შედგენილ ფენას, რომლის ქვეშ, ალაგ-ალაგ, გამოვლინდა ტუფის ანატაკეცების ფენა (ტაბ. VIII1; XIII1). დედაქანის დაქანების ძირთან ჩრდილო-დასავლეთიდან სამხრეთ-აღმოსავლეთისაკენ კლდეში ამოკვეთილი ღარები გამოვლინდა. ღარებში ჩაყრილი იყო მოყვითალო-მონაცრისფრო სილოვანი მასა, რომელსაც ზემოდან ელო ზემოთ აღნიშნული დამწვარი ალიზის აგურის ფენა (ტაბ. XIII2). ნაკვ. 202-ის k7-9 კვადრატსა და ნაკვ. 203-ის a6-8, b6-7, c7 კვადრატებში, თხრილის გარდღეარდმო, დამწვარი, დაშლილი ალიზის აგურისა და კრამიტის ფრაგმენტებისაგან წარმოქმნილი ფენა წყდება (ტაბ. XIV1). აქ ჰუმუსური ფენა ზემოდან ადევს რიყისა და თირის ქვებისაგან შედგენილ ფენას (მეოთხე ქვაყრილი), რომელიც, თავის მხრივ, ზემოდან ადევს კელის ნაშთებს და დედაქანში ამოჭრილ ორმოს (ტაბ. VIII3; IX). ორმოში ბრინჯაოსა და რკინის ნივთების განძი აღმოჩნდა (ტაბ. XIV2).

ნაკვ. 203-ის კვ. a8, b7-9, c7-9, d8-9-ში ჰუმუსური ფენა (სიმძლავრე – 0,5-0,65 მ) ადევს დამწვარი, დაშლილი ალიზის აგურისა და კრამიტის ფრაგმენტების ფენას, რომელშიც უხვადაა ხის დამწვარი ძელები (სიმძლავრე – 0,8-2,0 მ). თავის მხრივ, ეს ფენა ნახშირის ფენას ადევს ზემოდან (სიმძლავრე – 0,4-0,75 მ), რომლის ქვეშ დედაქანია დაფიქსირებული (ტაბ. VIII2-4; IX, ჭრილები).

დამწვარი, დაშლილი ალიზის აგურისა და კრამიტის ფრაგმენტებისაგან შედგენილ ფენაში აღმოჩნდა შემდეგი მასალა:

კერამიკა – ქვევრის კელის ფრაგმენტი, რომლის ზედაპირის ნაწილი დაფარულია წვრილი ღარებით და შემკულია ირიბი ჭდეების ორი რიგით, აგურისფერკეციანი (№ 07:1-07:296; ტაბ. XXIV14; XXV24); ქვევრის კელისა (№ 07:1-07:297) და ქუსლის (№ 07:1-07:298; ტაბ. XXIV15; XXV25) აგურისფერკეციანი ფრაგმენტები; კოლხური ამფორების ქუსლები (3 ც.), ყავისფერკეციანი (№№ 07:1-07:299-301; ტაბ. XXIV16-18; XXV11-13); კოლხური ამფორების (?) პირ-ყელისა და ყურის ფრაგმენტები (4 ფრ.), ყავისფერკეციანი (№№ 07:1-07:302-305; ტაბ. XXIV19-21; XXV14-15); ჭურჭლის ხუფის ფრაგმენტი, ყავისფერკეციანი (№ 07:1-07:306; ტაბ. XXIV22; XXV16); ქოთნის პირ-ყელის ფრაგმენტები (2 ფრ.), ყავისფერკეციანი (№№ 07:1-07:307-308; ტაბ. XXIV23-24; XXV17-18);

კოჭობის კედლისა და ძირის ფრაგმენტი, ყავისფერკეციანი (№ 07:1-07:309; ტაბ. XXI,25; XXV19); ჯამის პირ-კალთის ფრაგმენტი, რუხ-კეციანი (№ 07:1-07:310; ტაბ. XXV20); იხთის(?) ძირის ფრაგმენტი, ქუსლიანი, რუხ-კეციანი (№ 07:1-07:311; ტაბ. XXV21); იმპორტული ამფორის პირ-ყელის ფრაგმენტი, ღიაფერისკეციანი (№ 07:1-07:312; ტაბ. XXIV26; XXV22); როდოსული (?) ამფორის ყურის ფრაგმენტი, მრგვალგანივკეთიანი (№ 07:1-07:313; ტაბ. XXIV27; XXV23); ალიზის აგურის ფრაგმენტი (№ 07:1-07:314, ტაბ. XXIV28).

სპილენძის მონეტა, ძლიერ დაზიანებული, ნაწილობრივ შემორჩენილია ზევსის თავის გამოსახულება; ამისო (?), ძვ.წ. 80-70 წწ. (№ 07:1-07:185; ტაბ. XXVI1; XXVII1).

ბრინჯაოს ნივთები: ქინძისთავი, გაღუნული (№ 07:1-07:186; ტაბ. XXVI2; XXVII2); ქინძისთავი, გაღუნული (№ 07:1-07:187; ტაბ. XXVI3; XXVII3); ფირფიტები (2 ც.), დეფორმირებული (№ 07:1-07:207); ფირფიტების ფრაგმენტები (4 ც.), რომელთაგან ერთზე მანჭვალაია შემორჩენილი (№ 07:1-07:188); გაურკვეველი დანიშნულების საგანი, ცეცხლისაგან დეფორმირებული (№ 07:1-07:191).

რკინის ნივთები – ღეროები (2 ც.), ერთი მათგანი ხეშია(?) ჩარჭობილი (№№ 07:1-07:189-190).

დანახშირებულ ფენაში აღმოჩნდა შემდეგი ნივთები:

ბრინჯაოს ნივთები (№№ 07:1-07:261-286, 289) – ღეროები (ტაბ. XXVII7,9-12); ფირფიტა სამაგრი (ტაბ. XXVI9); ფირფიტების წვრილი და უსახო მცირე ზომის ფრაგმენტები (ტაბ. XXVII4-6,8,13-16,20-21), რომელთაგან ერთს სამანჭვლე ნახვრეტები აქვს (ტაბ. XXVI6; XXVII20); ზოდი (ტაბ. XXVII18); ჩქიფი (ტაბ. XXVI4; XXVII17); გაურკვეველი ნივთის დეტალი, ფოთოლი (ტაბ. XXVI7); ანჯამა (ტაბ. XXVI8; XXVII19).

რკინის ნივთები (№№ 07:1-07:192-206, 208-260, 290-295) – ფირფიტები, ლურსმნებით, დეფორმირებული, მათგან ორზე შემორჩენილია ხის ნაშთი (ტაბ. XXVIII1-8,12); ფირფიტა ბრინჯაოს ვარდულით (ტაბ. XXVI5); ღეროები, ერთს აქვს მასრა და ყუნწი; სამაგრი; ისრისპირები; ლურსმნები (ტაბ. XXVIII9-10); ჭურჭლის ფრაგმენტები (12 ფრ.); რკინის ნივთი, ტანდაბალი, მილისებური, რგოლისებრ ძირიანი, სამანჭვლე ნახვრეტებით (ტაბ. XXVIII11); დანა; დეფორმირებული ნივთები (13 ც., №№ 07:1-07:219-260).

შესწავლილ ფართობზე დედაქანს შემდეგი

კონფიგურაცია აქვს: ალიზის ფენის ალების შემდეგ გამოვლინდა დედაქანში ამოკვეთილი არხი – ნაკვ. 202, კვ. გ3-4, h2-5, i3-5, k4 (ტაბ. V; VII3). არხის ძირზე კრამიტის ფრაგმენტები ეყარა (ტაბ. XV1). კლდის ზედაპირი გაწითლებულია იმ ადგილებში, სადაც დამწვარი ძელები და ალიზი უშუალოდ კლდოვან დედაქანზე იდო. არხის სიგანე 6 მ-ია, მისი ძირი არ არის ნიველირებული, კიდეების გაყოლებაზე ღარებია ამოკვეთილი (0,15-0,20 მ. სიგანისა და 0,05-0,10 მ. სიღრმის). იგი მიმართულია სამხრეთ-აღმოსავლეთიდან ჩრდილო-დასავლეთისაკენ, მისი ორივე ბოლო გაუთხრელ ფართობში შედის (ტაბ. XV2). ნაკვ. 202, კვ. i6, k5-7, და ნაკვ. 203, კვ. a5-7 დამწვარი ალიზის ქვეშ გამოვლინდა ტუფის ანატექცების ფენა (0,67-0,72მ.). დაქანებულ დედაქანში ჩრდილო-დასავლეთიდან სამხრეთ-აღმოსავლეთისაკენ (რომლითაც გამოყოფილი იყო დამწვარი ალიზის ფენები) ამოკვეთილია ორი ფოსო, ხოლო მის ძირთან გამოვლინდა კლდეში ამოკვეთილი ღარები. ნაკვ. 202 კვ. i6-ში ორი ღარია, რომლებიც ნაკვ. 202, კვ. k6-სა და ნაკვ. 203, კვ. a5-6-ში ერთიანდება. გაერთიანებული ღარი სამხრეთ-დასავლეთიდან ჩრდილო-აღმოსავლეთისაკენ მიემართება. მისი სიგანეა 0,20-0,40 მ, სიღრმე – 0,20-0,30 მ. ღარს სამხრეთ-აღმოსავლეთიდან დაბალი ქედი მიუყვება (ტაბ. IX; XII2; XIII2; XIV1). ისინი მოყვითალო-მონაცრისფრო სილოვანი მასით იყო შევსებული. ქედის სამხრეთ-აღმოსავლეთით დედაქანი ნიველირებულია დაახლოებით 1 მ-ის სიგანეზე (ტაბ. V; IX; XVI1). ამ ფართობის სამხრეთ-აღმოსავლეთით ნაკვ. 202, კვ. k7-8, ნაკვ. 203 კვ. a6-8, b6-7, c7 (მეხუთე ქვაყრილის ქვეშ) კედლის ნაშთები გამოვლინდა, რომელიც დედაქანში ამოკვეთილი ბუდეებითა და მასში ალაგ-ალაგ ჩაწყობილი ტუფისა და ქვიშაქვის ძლიერ დაზიანებული ბლოკებისაგან შედგება. ორი კედლის ნაშთი დაფიქსირდა (ტაბ. VIII3; IX). პირველი პერანგულია, იგი სამხრეთ-დასავლეთიდან ჩრდილო-აღმოსავლეთისაკენ მიემართება, მეორე – პირველ კედელს მართი კუთხით უერთდება და მხოლოდ ნაწილობრივ არის გამოვლენილი, მასში რომელიმე სხვა ნაგებობის არქიტექტურული დეტალი არის გამოყენებული (ტაბ. XVI2; XVII1). ძირითადი კედლის ბალავერის გარეთა პერანგი ქვების ბუდეების ორი რიგისაგან შედგება. გარეთა რიგის დონე ქვედაზე 0,20-0,30 მ-ით დაბალია. პერანგის მეორე რიგი, დედაქანში ამოკვეთილი ბუდეების ერთი მწკრივისაგან შედგება. კედლის საერთო სიგანე 2,80-3 მ-ია. ეს კედელი, როგორც სამხრეთ-დასავლეთით, ასევე ჩრდილო-აღმოსავლეთით შეუსწავლელ ფართობში შედის (ტაბ. IX).

ნაკვ. 203 კვ. ა7-8, ხ8-ში თავდაცვითი კედლის ნაშთები ჩაჭრილი აქვს დედაქანში ამოკვეთილ ოთხკუთხა ორმოს, რომლის სიგრძეა 1,90 მ, სიგანე – 0,85 მ, სიღრმე – 0,90 მ. (ტაბ. IX, ჭრილი III-V; XVII2). ორმო გამოყენებული იყო განძის გადასამალად (ტაბ. XVIII; XIX1). იგი შევსებული იყო ნაცროსფერი სილოვანი ფენით. მხოლოდ ერთ ადგილას, რკინის ნივთების გროვებს (№№ 07:1-07:339-340) ქვემოთ დაფიქსირდა დამწვარი, დაშლილი ალიზის აგურისა და კრამიტის ფრაგმენტებისაგან წარმოქმნილი ლინზა. აღსანიშნავია ის გარემოება, რომ განძში შემავალი ზოგიერთი ნივთი (დიდი ზომის ბრინჯაოს ჭურჭელი და რკინის ნივთების გროვა) დედაქანში ამოკვეთილი ორმოს პირის დონის ზემოთ დაფიქსირდა. დიდი ზომის ჭურჭელს პირი ორმოს კედლეზე ჰქონდა ჩამოდებული (ტაბ. XVIII-6; XIX2). განძის შემადგენლობაშია ბრინჯაოსა და რკინისაგან დამზადებული ნივთები, ასევე ცვილის ნაჭერი (ტაბ. XX-XXII).

ბრინჯაოს ნივთები

ბრინჯაოს ლუთერია (№ 07:1-07:315, ტაბ. XVIII-6, გეგმაზე – 1; XXIX1) – წარმოადგენს დიდი ზომის ნახევარსფერული მოყვანილობის ფენიან და ყურებიან ჯვარს. პირი ჰორიზონტალურადაა გადაშლილი და ჩამოკეცილი კედლეზე შექმნილია მარგალიტისებური რიგით, ურთიერთმონაცვლე ოვებითა და ისრისებური ორნამენტით. პირთან შერჩენილია ორი ყურის მიმაგრების კვალი (ერთიმეორის საპირისპირო მხარეს). თვით ყურებიდან მხოლოდ ერთია შემორჩენილი (ტაბ. XXIX2). ყური მოძრავია, რკალისებური მოყვანილობის, ცენტრალურ ნაწილში შექმნილი მცენარეული ორნამენტით – საპირისპიროდ მიმართული წყვილი ფოთლებით, რომლებიც ერთმანეთისგან ზოლითაა გამიჯნული. ფოთლებიცა და ზოლიც გრავირებული სახეებითაა შექმნილი; ყურის დანარჩენი ნაწილი დადარულია, ბოლოებში სამსამი რელიეფური ქედი. ყური ჭურჭელთან მიმაგრებულია აპლიკაციით (ყური აპლიკაციაში ამოღებულ პაზებშია ჩასმული), რომელიც გორგონიონს წარმოადგენს. გორგონიონი მაღალ რელიეფშია გამოყვანილი. თმები ფართო ღარებითაა გამოსახული; შუბლზე ორი გველის თავია გამოხატული, ხოლო ნიკაპქვეშ ასევე ორი გველია გადანასკვული. აპლიკაცია შევსებულია ტყვიის მასით. ლუთერიის ფენი ტანის ძირზე იყო მიმაგრებული – შერჩენილია მიმაგრების კვალი. ფენი მილისებურია. მისი ზედა ნაწილი გარეთაა გადაშლილი, ჩამოკეცილი კედლეზე შექმნილი აქვს ორნამენტით – ოვებითა და ისრებით. მილისებური ნაწილი ნაკლული ჩანს. ჩამონატეხთან შემოყვება ლილვი; შერჩენილია ერთ რიგად განლა-

გებული სამი ნახვრეტი.

შეკეთების კვალი – ჯვარის პირი ჩამოტყვეული და შემდეგ გამოთლებული უნდა ყოფილიყო 12,5 სმ-ის სიგანეზე. პირის გამოთლებული ნაწილი განსხვავდება დანარჩენისაგან, როგორც სისქით, ასევე შემკულობის მანერით: პირის სისქე 0,3 სმ-ია, გამოთლებული ნაწილის არათანაბარი – 0,1-0,2 სმ. მარგალიტების რიგი შეცვლილია ნაჭდევებით. ოვები და ისრები გამოთლებულ ნაწილში ნაკლებად რელიეფურია, ვიდრე დანარჩენში. ოვების უკანა მხარე, პირის მთელ ნაწილში დაბალი ფოსოებით არის გამოყოფილი, გამოთლებულ ნაწილში – გლუვია. სავარაუდოდ, არც ჭურჭლის ფენი არ უნდა ყოფილიყო ტანთან ერთად დამზადებული, ვინაიდან მისი შემკულობა უფრო ჭურჭლის პირის გამოთლებულ ნაწილს წააგავს: მარგალიტების ნაცვლად, ნაჭდევები აქვს დატანილი. ოვები და ისრები შედარებით დაბალ რელიეფშია გამოყვანილი. ოვებისა და ისრების უკანა ნაწილი გლუვია. სისქე – 0,2 სმ-ია. გარდა ამისა, ფენი ჭურჭლის ცენტრს აცილებულია. ლუთერიის პირის დმ – 68 სმ-ია; სიმაღლე (ფენიანად) – 38 სმ.

სხვა დიდი ზომის ბრინჯაოს ჭურჭელი, ვანის ნაქალაქარზე გამოვლენილია მხოლოდ ე.წ. „მოზაიკურიატაკიანი ტაძრის“ გათხრებისას. ჭურჭელი იმდენად დეფორმირებული იყო, რომ მისი ფორმის აღდგენა ვერ მოხერხდა, შემორჩა მხოლოდ აპლიკაციები და ზოგიერთი სხვა დეტალი [ლორთქიფანიძე ოთ. და სხვ. 1976].

სადგარი (№ 07:1-07:319, ტაბ. XVIII-5, გეგმაზე – 9; XXIX3) წარმოადგენს ზედა ბოლოგადაშლილ სვეტს, რომელიც აღმართულია პოსტამენტზე. სადგარის გადაშლილი პირი რელიეფური იონური კიმატიონით არის შემკული, დაბჯენილია ლილვზე, რომელიც სვეტის ზედა ნაწილს გარშემო შემოუყვება და სვეტს სამი მანჭვლით არის გადაბმული. სვეტი კანელურებანია და ქვემოთკენ ფართოვდება. ქვედა მხარეს კანელურები ყვავილისებურად არის გაშლილი და ბაზას ებჯინება. ბაზა ოთხკუთხა პოსტამენტზე დგას, რომელიც ორი საფეხურისაგან შედგება. ზედა საფეხურის ზედა მხარე თარაზულია, ხოლო გარეთა მხარე – შვეული. ქვედა საფეხური წარმოადგენს სადგარის ყველაზე უფრო განიერ ნაწილს – მისი ზედა მხარე დაქანებულია, გარეთა მხარე კი შვეული.

სადგარის პირში სპეციალური სამაგრია ჩადგმული, რომლითაც რაღაც ნივთი (ჭურჭელი?) სადგარზე მაგრდებოდა. სამაგრი შედგება ცილინდრული მილისა და მასზე პერპენდიკულარულად მირჩილილი რგოლისაგან. მილი ჩადგმულია სვეტში. სამაგრის რგოლი მილის თავზეა მიმაგ-

რებული და ორ ადგილას, ერთმანეთის საპირისპიროდ ჩაჭრილია სადგარზე დასადგმელი ნივთის მისამაგრებლად. სიმაღლე -33 სმ; ძირის სიგანე - 38,5 სმ.

სადგარი (№ 07:1-07:320, ტაბ. XVIII7-8, გეგმაზე - 24; XXX1) ზემოთ აღწერილის მსგავსია, ოღონდ არა აქვს გარეთ გადაშლილი კიდე და შედარებით მცირე ზომისაა. სიმაღლე - 18,5 სმ., ძირის სიგანე - 29 სმ.

წრიული სადგარი (№ 07:1-07:321, ტაბ. XVIII6-9, გეგმაზე - 21; XXX2), შემკული ლესბოსური კიმატიონით. სიმაღლე - 18 სმ; ძირის დმ - 26,5 სმ, პირის დმ - 16,7 სმ.

სირენას ფიგურა (№ 07:1-07:322, ტაბ. XVIII5-12, გეგმაზე - 15; XXX1). გაურკვეველი დანიშნულების ნივთის დეტალი, სავარაუდოდ - ერთ-ერთი სადგარი. იგი შედგება სირენას შიშველი, ფრთოსანი პროტომისაგან, რომელიც დაბჯენილია მტაცებელი ფრინველის ფეხზე და ბაზაზე. სირენას თავზე მჭიდროდ დაწნული ნაწნავები ადევს, რომლებიც შუბლიდან კეფისაკენ არიან გადავარცხნილი. ეს ნაწნავები ღარებით არიან გამოსახულნი. თავს გარშემო კი ჩაგრეხილი ორი მსხვილი ნაწნავი შემოუყვება, რომლებიც კეფიდან წინაა წამოღებული და შუბლზე კვანძით იკვრება. ფაშარად დაწნული ორი ნაწნავი კეფიდან მხრებზე არის ჩამოშლილი. გარდა ამისა, წყვილი ლოკონი საფეთქლებიდან ლოყებზე ეშვება. ბოლო ოთხი ნაწნავი და ლოკონები დაბალი რელიეფითა და ღარებით არიან გამოსახულნი. სირენას სახის ნაკვთები: თვალები, ცხვირი, ტუჩები და მკერდი რელიეფურად, მკვეთრადაა გამოხატული. მხოლოდ ყურებია დაუდევრად დამუშავებული. ფრთებს რკალისებური ფორმა აქვთ. ბუმბული წარმოადგენს დაბალი რელიეფისა და ღარების კომბინაციას. სირენას სხეულის ფრთებთან მიერთების ადგილზე - ნახევარწრიული ნაჭდევი არის დატანილი. მუცელი შემკულია რელიეფური, თხუთმეტი ფოთლისაგან შემდგარი პალმეტი. პროტომას უკნიდან, ორ ადგილას, ზურგსა და კეფაზე ღრუ აქვს გაკეთებული. მტაცებელი ფრინველის ფეხი ოთხი კლანჭისაგან შედგება. ბუმბული ნაჭდევებით არის გამოხატული. ნივთის ბაზა შედგება სხვადასხვა სიმაღლისა და დიამეტრის მრგვალი საფეხურებისაგან, სიმაღლე - 29 სმ; ძირის დმ - 15 სმ. (ტაბ. XXX13).

დაზიანება - სირენას თავზე რაღაც დეტალი წატეხილი აქვს. ფიგურის ბაზა ერთ მხარეს ოდნავ გაღუნულია.

სირენას მსგავსი კლანჭები გამოვლენილია „მოზაიკურიატაკიანი ტაძრის“ ნანგრევებში, რომლებიც გაურკვეველი დანიშნულების ნივთის ფეხის გარსაკრავი უნდა ყოფილიყო [ლორთქიფანიძე

და სხვ. 1976: 7-31].

სასაკმეველე (№ 07:1-07:323, ტაბ. XVIII7-9 გეგმაზე - 22; XXXII), შედგება კონტეინერისაგან, რომელსაც ზემოდან მირჩილული აქვს პირი, გვერდებზე - სამი მილი, შემკული სპილოს თავების გამოსახულებით, ძირზე ქუსლი. პირი (საწვავის ჩასასხმელად) შედგება თარაზულად, გარეთ გადახრილი პირის გვირგვინისაგან და ცილინდრული ყელისაგან. პირის ერთ მხარეს მიმაგრებულია წიბო, მასში გაყრილი ღეროთი (იგი სასაკმეველის ხუფის სამაგრი უნდა ყოფილიყო). პირს კონტეინერისაგან წრიული ლილვი გამოჰყოფს. კონტეინერის ტანი სფერულია, ქვემოდან დაბრტყელებული. კონტეინერის მილებთან მიერთების ადგილას სამი რგოლი აქვს მირჩილული, რომლებითაც სასაკმეველის დასაკიდებლად გამოიყენებოდა. რგოლების ძირში გულის ფორმის აპლიკაციები არის დაკრული. სპილოები ღრიალის მდგომარეობაში, მეტად ნატურალისტურად არის გადმოცემული. მილი მათ დაღებულ ხახაში არის გამოყვანილი. ხორთუმები ზემოთკენა აქვთ აღმართული. სპილოების თავები და მათი დეტალები რელიეფურადაა შესრულებული, ხორთუმები ხაზებით არის შემკული. სპილოების თავები ზომით ერთმანეთისგან მცირედით განსხვავდება. კონტეინერს ძირზე მიმაგრებული ქუსლი ცილინდრულია, ქვედა მხარეს რგოლი აქვს მირჩილული.

სასაკმეველის სიმაღლე - 19,5 სმ; სიგანე - 44 სმ.

დაზიანება - სასაკმეველს მოტეხილი აქვს ხუფი.

ვანის ნაქალაქარზე სასაკმეველე, ოღონდ სხვა ტიპისა, „მოზაიკურიატაკიანი ტაძრის“ ნანგრევებში აღმოჩნდა [ლორთქიფანიძე და სხვ.1976, ტაბ. XIV].

ჭრაქი (№ 07:1-07:324, ტაბ. XVIII5-12, გეგმაზე - 16; XXXIII-XXXIV) შედგება ზემოდან პირმირჩილული კონტეინერისაგან, ექვსი საპატრუქისაგან და ქუსლისაგან (ტაბ. XXXIII1-2). პირის გვირგვინი გარეთკენ, თარაზულად არის გადახრილი, გარეთა მხრიდან მას მძივისებური ნაჭდევი შემოუყვება. პირის ყელი ცილინდრულია. შიგნიდან მას ერთმანეთის საპირისპირო მხარეს ორი პაზი აქვს დატანილი (ხუფის ჩასადგმელად?). პაზების ადგილას, ყელის გარეთა მხარე შესქელებულია. ყელი კონტეინერთან მიერთების ადგილას ფართოვდება და გარშემო მრგვალი ნაჭდევისაგან შედგენილი მძივი შემოუყვება. კონტეინერის მხრები მომრგვალებულია და შემკულია ნაჭდევებით შესრულებული მრგვალი მძივებისა და სხვადასხვა ოთხკუთხედებისაგან შედგენილი ორნამენტით. კონტეინერის ტანს სპი-

ლოს თავის სამი იდენტური გამოსახულება წარმოადგენს, რომელთა ხორთუმი სპატრუქეზად გამოიყენებოდა. სპილოების თავის ნაწილები – ყურები, შუბლი, თვალები – დაბალი რელიეფითაა შესრულებული და მცირე ნაჭდევებით შემკული. გარდა ამისა ყურები და განსაკუთრებით, ხორთუმი ბუნებრივობას მოკლებულია. ხორთუმი ზემოთკენ აშვერილ, მოხრილ მილს წარმოადგენს, რომლის პირი გარეთკენ, თარაზულადაა გადაშლილი. სპილოების თავის გამოსახულებები ზომით ოდნავ განსხვავდებიან ერთმანეთისაგან. ადამიანთა ფიგურები სპილოს თავებს შორისაა ჩასმული, კონტეინერთან დაკავშირებული არიან მილებით, რომელთა გარეთა ნაწილი, ადამიანთა ფიგურების მიერთების ადგილას, ფოთლების (აკანთის?) გამოსახულებას წარმოადგენს. ადამიანთა პროტომები, სპილოს თავებთან შედარებით უფრო ბუნებრივ იერს ატარებენ, მაგრამ უფრო ზერელე ნაშუშევარის შთაბეჭდილებას ტოვებს – არაპროპორციული მხრები და თავი, სახის ნაკვთები უხეშია. მათ ხელში ჩირაღდნები(?) უჭირავთ, რომლებიც ასევე სპატრუქეზს წარმოადგენენ. ერთი ფიგურა ჰერაკლეს წარმოადგენს (ტაბ. XXXIII_{1,3}; XXXIV_{1,2}), მას თავზე და მხრებზე ლომის ტყავი აქვს შემოხვეული, თათებით ყელთან გადანასკვული. ლომის ტყავი და ფაფარი რელიეფურად არის გამოყვანილი (ტაბ. XXXIII₂; XXXIV₂). მეორე მამაკაცის პროტომა სავარაუდოდ, დიონისესია (ტაბ. XXXIV₃). თავზე კულულები რელიეფურად აქვს გადმოცემული, ყელზე კი ორი ღარისაგან შედგენილი რკალი შემოუყვება (ტაბ. XXXIII₂₋₃; XXXIV₂₋₃). მესამე პროტომა – ქალისაა, არიადნეს წარმოადგენს (ტაბ. XXXIII, XXXIV). მას თმები უკან აქვს გადავარცხნილი და კეფაზე ჩახვეული, კეფიდან ორი ნაწნავი მხრებზე ეშვება, ყელზე გაურკვეველი, ორკაბა გამოსახულება შემოუყვება (ტაბ. XXXIII_{1,2}; XXXIV), (ჭრაქის იკონოგრაფიის შესახებ იხ. ლორთქიფანიძე ნ., 2010: 21-22; 2011: 47-53).

ჭრაქის ქუსლი მრგვალია, ქვემოთკენ ოდნავ გაფართოებული.

ჭრაქის სიმაღლე-11 სმ; სიგანე – 42 სმ.

დაზიანება – ჭრაქის პირის გვირგვინი ერთ ადგილას გატეხილია. კლია ხუფი და მოტეხილია ერთი სპატრუქე, რომელიც ქალის ფიგურას უნდა სჭეროდა.

შეკეთების კვალი – ვინაიდან სპილოების თავის გამოსახულებები ადამიანთა ფიგურებისაგან სტილისტურად განსხვავდება და მათ ჩაჭრილი აქვთ სპილოს ყურები, ვფიქრობთ, რომ ეს უკანასკნელნი უფრო გვიან უნდა იყოს ჭრაქზე მირჩილული.

ექვსპატრუქიანი ჭრაქი რამდენიმე ელემენტით წააგავს „მოზაიკურიატაკიან ტაძარში“ გამოვლენილი, დეფორმირებული, ე.წ. დიდი ზომის ჭურჭლის ელემენტებს: ზემოთ აღნიშნული იყო, რომ ჭრაქზე ადამიანთა ფიგურების მიერთების ადგილი შემკულია აკანთის ფოთლებით; ფოთლებით, ოღონდ უფრო მაღალ დონეზე შესრულებულით, შემკულია ღვთაებათა აპლიკაციების ჭურჭლის კედელთან მიერთების ადგილებიც (ტაბ. XXXV). გარდა ამისა, ჭრაქზე გამოსახულ არიადნეს თმები ისევე აქვს დავაცხნილი, როგორც ნიკეს ფიგურას – შუბლზე ორად გაყოფილი თმა კეფაზეა ჩახვეული (XXXVI).

ჭრაქი (№ 07:1-07:326, ტაბ. XVIII₉₋₁₂ გვემაზე – 29; XXXVII) შედგება კონტეინერისაგან სამი სპატრუქეთი, რომლის ძირიც შემკულია არწივისა და განიმედესის გამოსახულებით. ჭრაქის კონტეინერი ზემოდან თარაზულია, ქვემოდან – მომრგვალებული. ზედა მხრის, შუა ნაწილში დატანილი აქვს პირი, რომლის ოთკუთხაგანივკვეთიან გვირგვინზე მირჩილულია ხუფის დასამაგრებელი ორნახვეტიანი წიბო. კონტეინერის სამი სპატრუქე ასევე ზემოდან თარაზულია, ქვემოდან – მომრგვალებული. სპატრუქეებზე ზემოდან ჭრაქის დასაკიდებლად განკუთვნილი რგოლებია მირჩილული. კონტეინერის ძირზე დამაგრებულია არწივის გამოსახულება. არწივის ფიგურა უკნიდან ამოჭრილია, ღრუიანია (ტაბ. XXXVIII₁). არწივის და განიმედესის ფიგურები უზადოდაა შესრულებული. არწივი გამოხატულია ფრენის მდგომარეობაში – ფრთები გაშლილი და ქვემოთკენ მოხრილი აქვს, თავი ოდნავ მარცხნივ მოტრიალებული, ძლიერი ნისკარტით ბოლოვდება. ბუმბული, რომელიც მთელ სხეულს ფარავს, დაბალი რელიეფითაა და ღარებით არის გამოხატული. არწივს კლანჭებით განიმედესი უჭირავს. განიმედესის ფიგურასაც ღრუ აქვს. მისი თავი მარცხნივ არის მიტრიალებული. რელიეფურად შესრულებული ხშირი თმა ზონარით აქვს შეკრული. მარჯვენა ხელი ზემოთ აქვს აწეული და არწივის თავს ეხება, მარცხენათი კი მის კლანჭს არის ჩაბლაუჭებული. შიშველი სხეული პროპორციულია (ტაბ. XXXVII₂).

ჭრაქის სიგრძე – 34 სმ; სიგანე – 31 სმ; სიმაღლე – 13,5 სმ.

დაზიანება – აკლია ხუფი და მომტვრეულია ერთი დასაკიდებელი რგოლი (რომლის ფრაგმენტებიც შემორჩენილია).

არწივების ფიგურები, ბუმბულის გამოხატვის ასეთივე ხერხით აღმოჩენილია „მოზაიკურიატაკიანი ტაძრის“ ნანგრევებში [ლორთქიფანიძე ოთ. და სხვ. 1976: 7-31] (ტაბ. XXXVIII).

ჩვენს ჭრაქზე მირჩილული არწივისა და განი-
მედისის მსგავსი ფიგურები გავრცელებულია
ელინისტურ ხანაში და ისინი ლეოქარესის ქანდა-
კების იმიტაციებად არიან მიჩნეული [Akhvlediani
etc., 2016: 187-188].

ჭრაქი (№ 07:1-07:327, ტაბ. XVIII⁵-8, გეგ-
მაზე – 18; XXXIX; XL¹). შედგება კონტინე-
რისაგან, რომელსაც ზემოდან დატანილი აქვს
პირი ხუფით, გვერდებზე სამი საპატრუქე, ძირზე
ქუსლი. საპატრუქეები და ხუფი შემკულია ერო-
სის თითო ფიგურით. ჭრაქის კონტინერი ზე-
მოდან თარაზულია, ქვემოდან მომრგვალებული.
მისი პირის კედელზე მირჩილულია ორი წიბო ნახ-
ვრეტებით, რომელიც სახსრით უკავშირდება
მრგვალ ხუფს. საპატრუქეების ზედაპირი ასევე
თარაზულია, ხოლო ქვედა მხარე – მომრგვალე-
ბული. საპატრუქეებზე, კონტინერთან მიერთების
ადგილას მირჩილულია თითო რგოლი (ჭრაქის
დასაკიდებელი). ასეთივე რგოლები აქვთ საპატ-
რუქეებს ქვემოთაც. ეროსების ფიგურებიდან ერთი
მრგვალ პოსტამენტზე დგას ჭრაქის ხუფზე. იგი
ტრიგონზე უკრავს (ტაბ. XL²). სამი დანარჩენი
ოთხკუთხა პოსტამენტზე – საპატრუქეებზე არიან
მირჩილულნი. აქედან ერთი ცეკვავს (ტაბ. XL⁵),
მეორეს ხელში ჩირაღდანს (?) უჭირავს (ტაბ.
XL³), მესამე – ღირაზე უკრავს (ტაბ. XL⁴).
ყველა ფიგურა უზადოდ არის შესრულებული
(ეროსის ბავშვის სხეული). კარგად გადმოცემუ-
ლია გამოსახულების დინამიკა. ხშირი კულულები
დახვეული ზონარით არის შეკრული. სახის ყველა
დეტალი რელიეფურად არის გამოხატული, ხო-
ლო ფრთების ბუმბული – ღარებით. ჭრაქს ძირზე
მრგვალი ქუსლი ქვემოთკენაა გაფართოებული.

ჭრაქის სიმაღლე (ფიგურებიანად) – 27 სმ; სიგანე
– 42 სმ.

ორ უკანასკნელ ჭრაქს გააჩნია რამდენიმე
მსგავსება: კერძოდ სახსარი – ხუფის დეტალი
(ტაბ. XXXVIII; XXXIX). ასეთი სახსარი აქვს
ანჯამასაც (№ 07-1: 07:278; ტაბ. XXVI⁸;
XXVII⁹), რომელიც განძის მიმდებარე ტერი-
ტორიაზე, დანახშირებულ ფენაშია ნაპოვნი.
მსგავსი აქვთ კონტინერიცა და საპატრუქეებიც
– ზემოდან თარაზული, ქვემოდან მომრგვალებუ-
ლი; ორივე ჭრაქი სამპატრუქიანია; ორივე შე-
იდლება დაიკიდოს; ორივეს ფიგურები უზადოთაა
შესრულებული. ამის გარდა ეროსების ამ სტი-
ლით შესრულებული გამოსახულებაც ელინისტუ-
რი ხანისთვისაა დამახასიათებელი [Akhvlediani
etc., 2016: 187-188].

ჭრაქი (№ 07:1-07:325; ტაბ. XVIII⁹ გეგმაზე –
28; XL¹⁻²) შედგება კონტინერისაგან, ერთი
საპატრუქისაგან, ყურისაგან, ფეხისაგან. ჭრაქის
კონტინერი ზემოდან თარაზულია, ტანი – სფერული.
ზემოთ დატანილი აქვს მრგვალი ზვრელი, საწვავის

ჩასასხმელად. ზვრელს, ერთმანეთის საპირისპიროდ,
დატანილი აქვს ორი პაზი (ხუფის ჩასადგმელად).
საპატრუქეც ასევე თარაზულია ზემოდან, ხოლო
ქვემოდან მომრგვალებული. ყური თანაბრად
მორკალულია, ოთხკუთხაგანიკვეთიანი,
მომრგვალებული კუთხეებით. ყურის ქვედა ბოლო
ჭრაქის კონტინერის მუცელზეა მირჩილული. ყურს
ქვედა ნაწილში გაკეთებული აქვს ოთხკუთხა
ნახვრეტი. ზედა ნაწილში ორკაპა ხდება და ვაზის
ორი რტოს გამოსახულებაში გადადის. რტოები,
ფოთლებითა და ყურძნის მტევნებით, ქვემოთკენ
ემუხებიან და ორი მხრიდან შემოეხვევიან კონტინერის
მხარსა და მუცელს. სუროს ფოთლები და მტევნები
რელიეფითა და ღარებით არიან გამოსახულნი. ყურს
გარედან, შუა ნაწილში ქვედა ბოლოთი მირჩილული
აქვს მრგვალგანიკვეთიანი ღერო. იგი ზედა ნაწილში
სპირალურად არის დახვეული. სპირალს ზემოდან, შუა
ნაწილით ვაზის ფოთოლი ადევს. ეს უკანასკნელი
ძირით ყურის ორკაპა ბოლოზე არის დამაგრებული. ეს
ფოთოლი განსხვავდება დანარჩენი ფოთლებისაგან ზო-
მით – იგი გაცილებით დიდია, სამაგიეროდ უფრო
თხელი ფირფიტისაგან დამზადებული, რელიეფიც
გაცილებით დაბალია და ღარებიც მწირადაა
გამოყენებული. საპატრუქეს ზედა მხარეს გვერდებიდან
საზღვრავენ დაბალი კედლები, თითოეული,
საპატრუქეს კონტინერთან მიერთების ადგილას ორად
იყოფა. ორი, შიდა, ერთმანეთისაკენ მიმართულ
ნახევარკალეს ქმნიან, გარეთკენ მიმართულები –
სპირალეს, რომლებსაც ზემოდან რელიეფური მცენა-
რული ორნამენტი ადევს. დაბალი კედლები
საპატრუქეს პირთან ჩაჭრილია და უერთდება პირის
გვირგვინს, რომელიც შემკულია ერთმანეთისაკენ
მიმართული, ნაჭდევიანი რელიეფური ნა-
ხევრწრეებით. ამ უკანასკნელებზე დასმულია, ასევე
თითო-თითო რელიეფური სპირალი. ჭრაქის სიმაღლე-
16,5 სმ; სიგრძე-35 სმ; სიგანე-13,5 სმ.

დაზიანება – საპატრუქეს ზემოდან, იქ სადაც
დაბალი კედლები ჩაჭრილია, ჩამაგრებული უნდა
ყოფილიყო რალაც დეტალი, რომელიც მოტეხილია
(საპატრუქეს ზედაპირზე შეინიშნება მისი კვალი, ტაბ.
XLI³).

შეკეთების კვალი – სავარაუდოდ ჭრაქის ყურზე
დამაგრებული სპირალისბოლოიანი ღერო და ვაზის
ფოთოლი გვიან უნდა იყოს მირჩილული. ვინაიდან
ისინი, როგორც ბრინჯაოს ფერით, ასევე დამუშავებით
ჭრაქის დანარჩენი დეტალებისაგან განსხვავდებიან
(ტაბ. XLI⁴; XLI²).

ჭრაქის ყურზე დასმული ფოთლის ანალოგიური
ბრინჯაოს ფოთოლი (გაურკვეველი ნივთის დეტალი)
გამოვლენილია განძის მიმდებარე ტერიტორიაზე,
დანახშირებულ ფენაში (№ 07:1-07:277, ტაბ.
XXVI⁷).

სარეცლის (კლინეს) ფეხის გარსაკრავები (№№
07:1-07:328-337, ტაბ. XVIII¹⁻³, გეგმაზე – 7, 8, 10;
4, გეგმაზე – 7, 8, 10, 12; 5, გეგმაზე – 10, 12, 13,
14, 20; 6, გეგმაზე 10, 12, 13, 14, 17, 20, 26; 7,
გეგმაზე – 12, 13, 14, 20, 25, 26; 8, გეგმაზე – 13,
14, 25, 26; 9, გეგმაზე – 25, 26; 10, გეგმაზე – 25;
XLI³). განძში აღმოჩენილი სარეცლის ფეხის

ბრინჯაოს გარსაკრავები სპეციალურად აღწერა, აზომა და შეისწავლა გ. კვირკველიამ [Квирквелия, 2018: 177-197], გარდა ამისა, ამ კრებულში იგი ხელახლა, სრულად წარმოაჩინეს ამ მასალას. ამიტომ ჩვენ შემოვიფარებებით მოკლე აღწერილობით.

განძში კლინეს ფეხის ბრინჯაოს გარსაკრავები წარმოდგენილია მეტ-ნაკლებად სრული კომპლექტებით, რომელთა ელემენტები ორმოში მკაცრი თანამიმდევრობითაა განლაგებული. სულ გამოვლინდა ათი კომპლექტი, რომლებიც ორმოს სხვადასხვა ადგილას იქნა დაფიქსირებული. აღსანიშნავია, რომ ბრინჯაოს გარსაკრავები გადამალული იყო სარეცლის ფეხის ხის დეტალებთან ერთად. ხე სადღეისოდ არაა შემორჩენილი, მაგრამ მათი არსებობის შესახებ მეტყველებს ის გარემოება, რომ ბრინჯაოს ელემენტები ერთმანეთისაგან ყველა შემთხვევაში გარკვეული მანძილით იყო დაცილებული: I და II ელემენტი 5 სმ-ით; II და III ელემენტი 2 სმ-ით; III და IV ელემენტი 3 სმ-ით. განძში კლინეს სხვა დეტალები აღმოჩენილი არ არის.

კლინეს ფეხის ბრინჯაოს გარსაკრავები ვანის ნაქალაქარზე ადრეც იყო გამოვლენილი, კერძოდ, “მოზაიკურიატაკიანი ტაძრის” ნანგრევებში, რომელიც მდებარეობს ვანის ჩაფლვის ადგილიდან დაახლოებით 50 მეტრის დაცილებით [ფუთურიძე 1986: 46].

რკინის ნივთები

თიმატერიონი – შედგება თეფშის, კანელურებიანი ღეროსა და სამფეხა სადგარისაგან (№ 07:1-07:316; ტაბ. XVIII₁₋₄, გეგმაზე – 5; XLIV₁; XLV₁) სიგრძე – 172 სმ, სადგარის სიგანე – 50 სმ. თეფში ძალზე დაჟანგულია და დეფორმირებული, ღერო მრგვალგანივიკვეთიანია, კანელურებით შემკული. ღერო სადგარს უერთდება რთული ელემენტით – ორი ლილვაკითა და კვადრატული, გვერდებზეწეპილი ფირფიტით. ფირფიტა სამფეხაზე დევს. სამფეხა კი შედგება სამი ბრტყელგანივიკვეთიანი ღეროსაგან, შუა ნაწილში წრესა კრავს და გადადის ოვალურგანივიკვეთიან მუხლში, რომელიც ორკაბა ჩლიქით ბოლოვდება.

თიმატერიონი – შედგება თეფშის, ღეროსა და სამფეხა სადგარისაგან (№ 07:1-07:317; ტაბ. XVIII₁₋₄ გეგმაზე – 6; XLIV₂; XLV₂) სიგრძე – 1,50 მ, სადგარის სიგანე – 0,50 სმ. თეფში დაბალია, ოდნავ დახრილი კალთებით, გარედან დაღარულია, კიდე ჰორიზონტალურად აქვს გადაშლილი (თეფშის დმ – 18 სმ, სიმაღლე – 2 სმ, პირის კიდის სიგანე – 1 სმ). თეფში ღეროს უერთდება კონუსისებური დეტალით (მიახლ. დმ – 6 სმ, სიმაღლე – 4 სმ). ღერო მრგვალგანივიკვეთიანია, შემკულია მძივებითა და დისკოებით, ე.ი. იონიური კიმატიონით (ღეროს სიმაღლე – 123 სმ, დმ – 3 სმ). ღერო სადგარს რთული ელემენტით – ორი ლილვაკითა და კვადრატული, გვერდებზეწეპილი ფირფიტით უერთდება (ფირფიტის გვერდის სიგრძე – 13 სმ). ფირფიტა სამფეხაზე დევს. სამფეხა კი შედგება სამი ბრტყელგანივიკვეთიანი ღეროსაგან, რომლებიც დაღარულზედაპირიანია, შუა ნაწილში წრესა კრავს

და გადადის ოვალურგანივიკვეთიან მუხლში, რომელიც ცხენის ჩლიქით ბოლოვდება.

„კერა“ (№ 07:1-07:318, ტაბ. XVIII₅ გეგმაზე – 19; XLIV₃; XLV₃); შედგება გრეხილი ღეროსაგან (დმ – 3,5სმ, სიგრძე – 63 სმ), რომელიც ბოლოვდება მორკალული სალტისებური სადგარებით. სალტეები ბრტყელია (სიგანე – 3 სმ). ერთი სადგარი გვირგვინდება ორი ყუნწისებური შვერილით (სიმაღლე – 3,5 სმ, სიგანე-5 სმ). სადგარის ბოლოები არ არის შემორჩენილი.

შუბისპირები (№№ 07:1-07:338-352, ტაბ. XVIII₁₋₄, გეგმაზე – 2, 3, 4, 11; 5, გეგმაზე – 3; 7, გეგმაზე –23; 8, გეგმაზე –23, 27; 9, გეგმაზე –30; 10, გეგმაზე – 30, 31; 11, გეგმაზე –30, 31, 32; 12, გეგმაზე – 30, 31).

ისრისპირები (№№ 07:1-07:338-352).

ასეთივე ისრისპირები (5 ც.) გამოვლინდა ვანის მიმდებარე ტერიტორიაზე, დანახშირებულ ფენაშიც (№№ 07:1-07:214, 233-234,245,260).

ცვილის ნაჭერი ლუთერიის ქვემოთ – სადგარის თავზე აღმოჩნდა (ტაბ. XXI_{1,2}), თუმცა მისი დაკავშირება რომელიმე მათგანისადმი არ შეიძლება.

კელის სამხრეთ-აღმოსავლეთ მხარეს, 203-ე ნაკვეთის აგ. ხგ. კვადრატებში გამოვლინდა დედაქანში ჩაჭრილი ხუთი საფეხური (ტაბ. IX, ჭრილი III, V; XXIII). მისგან ჩრდილო-აღმოსავლეთით დედაქანი ხელოვნურად მკვეთრად დაქანებულია (ტაბ. XXIII₁), თხრილის სამხრეთ-აღმოსავლეთ ნაწილში (ნაკვ. 203, კვ. ხ9, ც8-10, დ8-9) კი ნიველირებული (ტაბ. IX, ჭრილი III, V), ზოგიერთ ადგილას შეიმჩნევა დამუშავების კვალი თირში ამოჭრილი ბუდეების სახით (ტაბ. XXIII). მოსაზრების მტკიცებულებად, რომ ვანში გადამალულია მას შემდეგ, რაც დაზარეულ იქნა კედელი და მისი ბალავერის ქვები იყო ამოღებული, მეტყველებენ შემდეგი ფაქტები:

დიდი ზომის ბრინჯაოს ჭურჭლის (№ 07:1-07:315) პირი უშუალოდ დედაქანში ამოკვეთილი ორმოს კიდეზე, თავდაცვითი კედლის ბალავერის ბუდეზე იდო, რაც მეტყველებს იმაზე, რომ ვანის ჩაფლვისას დედაქანზე არც ბალავერის ქვები იყო ჩაწყობილი და არც მიწა ეყარა.

დედაქანში ამოკვეთილი კედლის ბუდეების დონის ზემოთ დიდი ზომის ბრინჯაოს ჭურჭლის ერთი ნაწილი და რკინის ნივთების გროვა (№ 07:1-07:338) დაფიქსირდა, ე.ი. ბალავერის ქვები, ვანის ჩაფლვისას, უკვე ამოღებული იყო.

ვანის ყველა ნივთი კარგად არის შემონახული, თავდაცვითი კედელი ვანის თავზე რომ ყოფილიყო აგებული, ეს ნივთები სიმძიმის ქვეშ უცილობლად დაზიანდებოდა; ორმოში, ვანის ნივთებთან დამწვარი ალიზის აგური და კრამიტის ფრაგმენტები აღმოჩნდა, რაც მეტყველებს იმაზე, რომ უკვე დაზარეული და დამწვარი კედლის ნაშთები მოხვდა ვანში მისი დაფლვის დროს.

რაც შეეხება განძის შემადგენლობაში არსებული ნივთების წარმომავლობას – კვლევის ამ ეტაპზე შეიძლება ვარაუდის სახით გამოვთქვათ მოსაზრება, რომ მათი ნაწილი მაინც “მოზაიკურიატაკიანი ტაძრის” ინვენტარს უნდა წარმოადგენდეს (როგორც ზემოთ იყო აღნიშნული, ეს ობიექტი განძიდან დაახლოებით 50 მეტრით არის დაცილებული), ვინაიდან განძში და ამ ტაძარში მსგავსი ფუნქციის და სტილის ნივთებია აღმოჩენილი: ესენია სარეცლის ფეხის ბრინჯაოს გარსაკრავები [ფუთურიძე, 1986: 47, სურ. 291-3 – ამ ანგარიშში სარეცლის ფეხის ბრინჯაოს გარსაკრავები სადგარებად არიან იდენტიფიცირებულნი – 07:1-76:23, 29, 150, 156, 168; 07:1-77:95)]; სასაკმეველები – განძში ის არის ბრინჯაოსი და შემკულია სპილოების თავების გამოსახულებებით (ტაბ. XXXII), ხოლო ტაძარში – რკინის, შედგება ორი ნაწილისაგან – ერთი დაფანჯრულ, კონუსისებრი მოყვანილობის ხუფს წარმოადგენს (სიმაღლე – 36 სმ), რომელსაც წვეროზე ყუნწში რგოლი აქვს გაყრილი, მეორე ნაწილი დიდი ზომის ჯამია [ხოშტარია და სხვ., 1972: 177, სურ. 129]; დიდი ზომის ბრინჯაოს ჭურჭლები – განძში იგი ლუთერიის სახითაა წარმოდგენილი, რომლის ყურიც გორგონეონის აპლიკაციითაა შემკული (ტაბ. XXIX_{1,2}), ტაძარში კი, ეს არის დიდი ზომის დეფორმირებული ჭურჭელი, რომელსაც ეკუთვნის ექვსი ცალი ბრჭყალი, რომელიც სადგარს წარმოადგენდა, ფრთაგამლილი არწივის სამი ქანდაკება, დიონისეს წრის ღვთაებათა (პანი, სატირი, არიადნა, მენადები) თავების ექვსი და ნიკეს ერთი აპლიკაცია. ჭურჭლის ცალკეული ფრაგმენტები ჭედური ორნამენტითაა შემკული [ხოშტარია და სხვ., 1972: 177, 178, სურ. 130-143]. რაც შეეხება სტილისტურ მსგავსებას – განძში გამოვლენილი ექვსპატრუქიანი ჭრაქის ქალის (არიადნას) თმის ვარცხნილობა ისეთივეა, როგორც ტაძრის, დიდი ზომის ჭურჭლის აპლიკაციის – ნიკეს თმის ვარცხნილობა (ტაბ. XXXVI); განძის ექვსპატრუქიანი ჭრაქის პროტომები აკანთის ფოთლის გამოსახულებებიდან ამოზრდილები, ისევე, როგორც “მოზაიკურიატაკიანი ტაძარში” გამოვლენილი ბრინჯაოს დიდი ზომის ჭურჭლის აპლიკაციები (ტაბ. XXXIII-XXXV) და განძში აღმოჩენილი არწივისა და განიმედესის ფიგურებით შემკული ჭრაქის არწივის ფრთები ისევეა გამოსახული, როგორც იმავე დიდი ზომის ჭურჭლის არწივის ფრთები (ტაბ. XXXVII-XXXVIII). გარდა ამისა, ჩვენს მიერ შესწავლილი თავდაცვითი კედელი, რომლის ნაშთებში იქნა დაფლული განძი, დანგრევის შემდეგ ისევეა ათხრილი, როგორც “მოზაიკურიატაკიანი ტაძარი” [ხოშტარია და სხვ., 1972: 176-179,

სურ. 123, 124).

საბოლოოდ, შეიძლება გამოითქვას ვარაუდი, რომ ძველი ქალაქის ნგრევის შემდეგ, ხდება ნაქალაქარის ზოგიერთი ნაგებობის გათხრა, ქვის კარგად დათლილი კვადრების მეორადი გამოყენების მიზნით (მათ შორის “მოზაიკურიატაკიანი ტაძრის” და ჩვენს მიერ შესწავლილი თავდაცვითი კედლის). ამ დროს, “მოზაიკურიატაკიანი ტაძრის” ნანგრევებში ხდება მისი ინვენტარის ნაწილის აღმოჩენა და გაურკვეველი გარემოებების გამო, ჩვენს მიერ შესწავლილი თავდაცვითი კედლის ნაშთებში ჩაფლვა.

გ. კვირკველიას აზრით, განძის ჩაფლვა უნდა მომხდარიყო ძვ.წ. 49 და 47 წლებს შორის – ძველი ვანის ორ ნგრევას შორის [Квирквелия, 2018: 195]. ჟ. მეიშის, დ. საუნდერსის, მ. ვალტონის და ნ. კალანდაძის აზრით, რომლებიც განძში შემავალი ცვილის ნაჭრის რადიონახშირბადით დათარიღების მონაცემებს (დაახლოებით ძვ.წ. I ს.) ეყრდნობიან, განძის ჩაფლვა მოხდა ძვ.წ. I ს-ის შუა ხანებში [მეიში და სხვ., 2010: 17].

ზემოთმოყვანილი ფაქტებიდან, ვარაუდის სახით, შეიძლება შემდეგი სურათი აღვადგინოთ: შესწავლილ ფართობზე თავდაპირველად ხდება დედაქანში საფეხურების ჩაჭრა, შემდეგ თავდაცვითი კედლის აშენება. კედლების ურთიერთ პერპენდიკულარულად აგება გამოწვეული უნდა ყოფილიყო საფეხურებისათვის გვერდის ასაქცევად. კედლის სიგანე დაახლოებით 3 მეტრი იყო; მისი ბალავერი სხვადასხვა ჯიშის ქვისაგან, ხოლო კედლები ალიზის აგურისაგან იყო ნაგები, სადაც დიდი რაოდენობით ხის კონსტრუქციები და რკინის დეტალები იყო გამოყენებული; გადახურული იყო კრამიტით. სწორედ მის ნაშთს წარმოადგენს დედაქანში ამოჭრილი ბუდეები, მასში ალაგ-ალაგ შემორჩენილი საგანგებოდ დამუშავებული ტუფისა და ქვიშაქვის ქვები, დაშლილი ალიზის აგურისა და კრამიტის ფრაგმენტებისაგან წარმოქმნილი მასა, ხის ნახშირის ფენა და მასში მოხვედრილი ლითონის ნივთები დიდი რაოდენობით. თავდაცვითი კედლის ეს მონაკვეთიც, ძველ ქალაქთან ერთად (ძვ.წ. I ს-ის შუა წლები) ინგრევა. ამაზე ნათლად მეტყველებს, მის ნანგრევებში აღმოჩენილი პონტოს სპილენძის მონეტა (ძვ.წ. 80-70 წწ.) და იმპორტული ლიაფერისკეციანი ამფორის ფრაგმენტი. ნგრევის შემდეგ, ხდება ბალავერში გამოყენებული ქვების ნანგრევებიდან ამოღება, რა მიზნითაც დამწვარი კედლის ალიზის მასაში იჭრება ტრანშეა და სავარაუდოდ, მაშინ ხდება ტრანშეის ძირზე, დედაქანში ორმოს ამოკვეთა და მასში განძის გადამალვა. ტრანშეა შემდგომ რიყის, ქვიშაქვის ქვებითა და მიწით შეივსო,

სოლო უფრო მოგვიანებით, ღვარის და მეწყერული პროცესების მიერ ხდება ნაქალაქარის ზედა უბნებიდან, მშენებლობაში გამოყენებული

ქვების ჩვენს მიერ შესწავლილ მონაკვეთში ჩამოტანა.

Dimitri Akhvlediani, Darejan Kacharava, Sul Khan Kharabadze

RESULTS OF ARCHAEOLOGICAL EXCAVATIONS AT THE VANI SITE IN 2005 AND 2007

The aim of our article is to present the results of archaeological excavations carried out on the south-eastern edge of the lower terrace of the Vani site in 2005 and 2007 (pls. I-II).

მეორე კარგად მეტ-ნაკლებად სრულად შემონახულია IV ელემენტის IV6 დეტალი. ის განეკუთვნება იმ ტიპს, რომელშიც გაერთიანებულია a-d სეგმენტები (ტაბ. XXV2). ელემენტის სიმაღლეა 14.6 სმ, a სეგმენტის სიმაღლე – 7.9 სმ, b სეგმენტის დმ – 8.0 სმ, c სეგმენტის დმ – 4.7 სმ, d სეგმენტის სიმაღლე – 5.5 სმ, d სეგმენტის ქვედა კიდის დმ – 15 სმ. ეს ზომებიც სავსებით ეთანხმება განძიდან მომდინარე ცალკეების პარამეტრებს.

დანარჩენი ნაწილები მეტად დაზიანებულია. ამათგან ერთი ასევე IV6 დეტალის ფრაგმენტი – შემორჩენილია ოთხი სეგმენტი ზარისებური ნაწილის ჩათვლით⁹. დანარჩენის ატრიბუტაცია ჭირს.

ამდენად, გარდა განძისა, საწოლის ფეხების ნაწილები¹⁰ აღმოჩენილია ტაძრის ტერიტორიაზე და, ალბათ, შეწირულობის ნაწილია. ეს ფაქტი აძლიერებს შთაბეჭდილებას, რომ განძში დაცული ნივთების დიდი ნაწილი, თუ არა უმრავლესობა სწორედ ამ ტაძრის კუთვნილი ინვენტარია.

კაცობრიობის ისტორიაში სხვადასხვა სახის ავეჯის, მათ შორის საწოლების წარმოება უძ-

ველესი დროიდან იწყება. სარეცლები (κλίνη, λήχιδ) მეტად მნიშვნელოვანი ნაწილი იყო ბერძნული სახლის მორთულობაში, გამოიყენებოდა არა მარტო ძილისათვის, არამედ ნადიმების დროსაც, მონაწილეობდა დასაკრძალავ რიტუალებშიც¹¹. ბერძნულ-რომაულ ხანაში კლინეს განვითარების გენერალური ხაზი ყველაზე უკეთ ჩანს ხელოვნების ნიმუშების მიხედვით, იქნება ეს ვაზების მოხატულობა, ტერაკოტული ფიგურები, რელიეფები, აკლამების მოხატულობა თუ სარკოფაგების მორთულობა¹². საყოველთაო ცხოვრებაში გავრცელებული იყო სამი ტიპის სარეცელი – ცხოველის ფეხებზე დაყრდნობილი საწოლები, რომლებიც სათავეს ჯერ კიდევ ძველ ეგვიპტეში იღებენ¹³, ოთხკუთხაგანივკეთიანი ფეხების მქონე, წმინდა ბერძნული წარმოშობის¹⁴, და მრგვალფეხებიანი, მოხრილ სასთუმლიანი ან უსასთუმლო კლინეები, ასევე ეგვიპტეში წარმოშობილი¹⁵. ავეჯი მზადდებოდა ხის, ქვისა და ლითონისაგან. ძირითადად გამოიყენებოდა ხე; ქვა (მარმარილო) გამოიყენებოდა საპარადო საჭიროებებისათვის და ძირითადად ასეთი სარეცლები განთავსებული იყო საზოგადოებრივ ნაგებობებში ან ძალიან მდიდრულ სახლებში. ლითონის ავეჯი თავდაპირველად დიდ სიძვირათეს წარმოადგენდა. მარმარილოსა და ლითონის საწოლები ბაძავდნენ ხის პროტოტიპებს¹⁶. მრგვალფეხებიანი ხის საწოლები არქაული ხანის კორინთულ შავფიგურულ ვაზებზე ასახული, გამოირჩევიან ფეხების პროფილის სიმარტივით და სასასთუმლის არქონით¹⁷.

მოხრილი სასასთუმლები თავდაპირველად ოთხკუთხაგანივკეთიანი ფეხებიანი საწოლებზე ჩნდება¹⁸. ძვ.წ. 400 წლის ახლო ხანებით თარიღდება აპულიური კრატერი ერმიტაჟიდან, რომელზეც გამოსახულია დიონისე და არიადნა, მჯდომარე ორ სასთუმლიან და მრგვალფეხებიან

⁸ ფირცხალავა 2003: 87, ტაბ. IV1.

⁹ ფუთურიძე 1986: სურ. 292.

¹⁰ „თიმეატერიონის“ გრაფიკული რეკონსტრუქცია მ. ფირცხალავას სტატიაში კორექტირებას მოითხოვს (ფირცხალავა 2003: ტაბ. IV1). აქ ჩვენი კლასიფიკაციის II3 დეტალი წამოცმულია IV6 დეტალის ზედა მილზე (სეგმენტი a), რაც, ცხადია, არასწორია.

¹¹ ძვ.წ. 600-400 წწ. დასაკრძალავ კლინეებზე ანატოლიაში იხ. Baughan 2013.

¹² ამ სახის მონაცემები განსაკუთრებით ვრცლად აქვს განხილული გ. რიხტერს - Richter 1966: 52-

63, fig. 282-340; იხ აგრეთვე Boube-Piccot 1975: 10 და შმდ.

¹³ Richter 1966: 57-58, fig. 294-296.

¹⁴ Richter 1966: 58-63, fig. 309-334; Boube-Piccot 1975: 10.

¹⁵ Koepen, Breuer 1926; Ransom 1905; Richter 1966: 54; შდრ. Сокольский 1971: 89.

¹⁶ Сокольский 1971: 87.

¹⁷ Richter 1966: 55, fig. 287-291.

¹⁸ Ransom 1905: 42, 27, fig. 11; Richter 1926: fig. 175.

სარეცელზე¹⁹. კლინეს ეს სახეობა შეიძლება ჩაითვალოს მოგვიანო, ელინისტურ-რომაული ხანის სარეცლების არქეტიპად²⁰.

აღრეელინისტური ხანის გამოსახულებების მიხედვით, ამ პერიოდში თანდათანობით ხდება ფეხების ფორმის დახვეწა და მათი პროფილების გართულება²¹.

ძვ.წ. III-II სს-ში ჩნდება პირველი ბრინჯაოს გარსაკრავიანი სარეცლები²². ამგვარი საწოლეთვისათვის პლინუსი ხმარობდა ტერმინს „lecti deliaci“ – „დელოსური სარეცლები“. კერძოდ, პლინუსი (აგრეთვე ლივიუსი) იტყობინებინ, რომ რომში ეს ბრინჯაოს გარსაკრავიანი საწოლები პირველად მოხვდა მცირე აზიიდან გალატებზე ძვ.წ. 187 წელს გნეუს მანლიუსის გამარჯვების შედეგად მოპოვებულ ნადავლთან ერთად (Liv. 39,6; (Plin., NH, XXXIII, 33, 144; XXXIV, 8-9)²³. გავრცელებული შეხედულებით, ყველა მათგანი როდი იყო დამზადებული კუნძულ დელოსზე. მაგალითად, გრიფენჰაგენი ფიქრობდა, რომ ეს ტერმინი მხოლოდ იმპერიული რომის ეპოქაშია გაჩენილი და თავის წარმოშობას უნდა უმაღლოდეს დელოსური ბრინჯაოს ნაწარმის პოპულარობას²⁴. ფ. ბრიუნოს მოსაზრებით, გეოგრაფიული ეპითეტი „დელოსური“ უფრო ტიპოლოგიურ თავისებურებებს აღნიშნავდა, ვიდრე წარმოშობას.²⁵

ამავე დროს დელოსზე აღმოჩენილია სარეცლის ფეხების გარსაკრავების სასხმელო ყალიბები, ასევე სასთუმალის (ფულკრას) ელემენტები, რაც ადასტურებს კუნძულზე ამგვარი საგნების წარმოებას²⁶.

ძვ.წ. III ს-ის დასასრულს – II ს-ის დასაწყისს მიეკუთვნება ბრინჯაოს გარსაკრავიანი სარეცლები პრიენადან²⁷. ძვ.წ. II ს-ით თარიღდება მსგავსი ბრინჯაოს გარსაკრები პელაში²⁸.

ელინისტური ხანის კლინეს ფეხების ბრინჯაოს გარსაკრავების ოთხი კომპლექტი ცნობი-

ლია არტიუხოვოს ყორდანის ყრილიდან (ძვ.წ. II ს.)²⁹. როგორც ჩანს, აქ მიცვალებულის დაკრძალვის შემდეგ საწოლი საგანგებოდ დაუმტვრევიათ და შემდეგ კოცონში ჩაუვლიათ. შემორჩენილი ნაწილები წარმოდგენილია თავებით, რგოლისებური გარსაკრებით, კუთხის გარსაკრავებით, სასთუმალის გვერდის მორთულობით (ფულკრუმი) – ფირფიტა აფროდიტესა და ეროტების გამოსახულებით. ყველა ფეხისთავი ჩვეულებრივი ტიპისაა, ამობერილი და დახშული ზედა სეგმენტით, დისკოსებური შუა ნაწილით და ცილინდრული ქვედა სეგმენტით. ამ უკანასკნელში დატანილია ორი ან სამი სამანჭველ ნახვრეტი შიგ შერჩენილი ლერსმნების ფრაგმენტებით. ორ ხუფზე ბერძნული ასოებია ამოჭრილი – Α და Λ, რომლებიც ნუმერაციის როლს ასრულებდნენ. ფეხისთავების ერთი წყვილი მეორესთან შედარებით უფრო მოზრდილია და, როგორც ჩანს, სასთუმალთან იყო განლაგებული. მათი სიმაღლე 4.1 სმ-ია, მაქსიმალური დიამეტრი (b სეგმენტის) – 8.5 სმ.

ჩვენი კლასიფიკაციის მეორე ელემენტი მხოლოდ II2 დეტალებით იყო წარმოდგენილი, ისიც იმ ვარიანტით, რომელიც დადასტურდა ჩვენი განძის №№ 3 და 10 ფეხების შემთხვევაში – c სეგმენტის გარეშე. ამ დეტალის სიმაღლე არტიუხოვოში 3.2 სმ-ს შეადგენს, მაქსიმალური დიამეტრი – 9.1 სმ-ს.

III ელემენტის ოთხივე ნიმუში მთლიანად სხმულია, პროპორციებით მეტად განსხვავდება ჩვენი ნიმუშებისაგან. სიმაღლეები – 4.8, 5.2, 5.4 სმ, ანუ მეტად მცირე ზომისა არიან.

IV ელემენტიც ნიმუშები ასევე მთლიანად სხმულია, ზოგადად წააგავს ჩვენ ცალებს, მაგრამ საკმაოდ განსხვავებულია ცალკეული დეტალების მოყვანილობით და ზოგადი პროპორციებით. მათი სიმაღლე 14.5 სმ-ია, ე.ი. ისინიც საკმაოდ მცირე ზომისა არიან.

¹⁹ Richter 1966: 56, fig. 300.

²⁰ Boube-Piccot 1975: 10.

²¹ Boube-Piccot 1975: 11-13.

²² Ransom 1905: 42, 50-51; Koeppen, Breuer 1904: 186; Faust 1989: 20f.; Faust 1992: 82-110; Faust 1994: 573. იხ აგრეთვე Andrianou 2006a; Andrianou 2006b.

²³ შდრ. Greifenhagen 1932: 43; Faust 1994: 600.

²⁴ Greifenhagen 1930: 41-45; Greifenhagen 1932: 41-45.

²⁵ Bruneau, 1976: 27-45, Boube-Piccot 1975: 9.

²⁶ Siebert 1973: 555-587; Siebert 1976: 821;

Baudoin, Liou, Long 1994: 54; Faust 1994: 601.

დელოსური ავეჯის შესახებ იხ. აგრეთვე Deonna 1938.

²⁷ Wiegand-Schrader 1904: 378-382.

²⁸ Oikonomos 1926: 75-97; იხ. აგრეთვე Boube-Piccot 1960: 259-274; Boube-Piccot 1975: 13-14.

²⁹ OAK за 1878-1879 гг.; OAK за 1880, დანართი, გვ. 88, 92; Ransom 1905: 41; Максимова 1979: 95; თარიღის შესახებ იხ. Максимова 1960: 45-48.

ნ. სოკოლსკის აზრით, არტიუხოვოს, პრეინასა და პელას კლინეები უფრო ადრინდელ სახეობებს აკავშირებს ძვ.წ. I – ახ.წ. I სს-ის ბერძნულ-რომაულ კლინებთან³⁰.

სწორედ ამ უკანასკნელი პერიოდის კლინებთან იჩენენ მაქსიმალურ მსგავსებას ვანში აღმოჩენილი გარსაკრავები. განსაკუთრებით საინტერესოა ვანის ნიმუშების შედარება ასეთივე დახურული კომპლექსებიდან მომდინარე მონაპოვართან. ასეთებათ უნდა ჩაითვალოს მაჰდიასა და ფორმიგის სანაპიროებთან ჩადირული გემების ტვირთი, ასევე ფონტეკოლეს სამარხის ინვენტარი.

მაჰდია³¹. მაჰდია ამჟამად წარმოადგენს ნავსადგურს ტუნისის აღმოსავლეთ სანაპიროზე. აქ ვარაუდობენ ფინიკიური სავაჭრო საყრდენი პუნქტის არსებობას³².

აქ 1907 წელს ბერძენმა მეთევზემ აღმოაჩინა ჩადირული გემისა და მისი ტვირთის ნაშთები. შემდეგ რამდენიმე წლის განმავლობაში ხდებოდა ამ ტვირთის ნაწილების წყლიდან ამოღება³³.

ითვლება, რომ გემი მოცურავდა პირეოსიდან იტალიაში და მოჰქონდა ბერძნული ხელოვნების ნიმუშები, მათ შორის მარმარილოს და ბრინჯაოს ქანდაკებები, ავეჯის მაღალხარისხოვანი აპლიკაციები, დეკორატიული ნივთები, არქიტექტურული დეტალები. ქარიშხლის გამო ის აღმოჩნდა ჩრდილო აფრიკის სანაპიროსთან, სადაც ჩაიძირა კიდეც. მიღებულია მოსაზრება, რომ ეს არის ნაწილი იმ ნადავლისა, რომელიც ხელში ჩაიგდო ლუციუს კორნელიუს სულამ ძვ.წ. 86 წელს ათენის გაძარცვის შედეგად.

მაჰდიას გემის ტვირთის შემადგენლობაში შედიოდა ოთხი კლინეს ნაწილები, მათ შორის სასასთუმლებიც. ყოველი კლინე შედგებოდა სამოცზე მეტი ბრინჯაოს ცალკეული ნაწი-

ლისაგან³⁴.

ეს ნაწილები მცირედ განსხვავდება ერთმანეთისგან ზომებით და პროპორციებით. ყოველი ფეხი შედგება 13 დეტალისაგან.

დეტალებზე შემორჩენილია წარწერები, სამ და ოთხ ასოიანი. ფიქრობენ, რომ ეს არის წარმოების ინტერესებიდან გამომდინარე შესრულებული დეტალების ნუმერაცია³⁵. საინტერესო ნიმუშებითაა წარმოდგენილი სარეცლების ფულკრუმების აპლიკაციები³⁶.

მერლენმა ეს გემი ძვ.წ. I ს-ის პირველი ნახევრით დაათარილა³⁷. სოლომონ რეინაკმა დაათარილა ძვ.წ. 86 წლით და დაუკავშირა სულას მიერ ათენის გაძარცვას³⁸. ს. ფაუსტი, ტვირთის ხასიათიდან გამომდინარე, არ იზიარებს ვარაუდს ძარცვის შესახებ და მას ძვ.წ. 100 წ. ათარილებს³⁹. ს. როტროფი ეყრდნობა ტვირთში შემავალ ამფორების (Dressei 1a = Will 4a –120-80/70 წწ.; Dressel 1B = Will 4b – ძვ.წ. 80/70 წწ-დან საუკუნის ბოლომდე) თარიღებს და თვლის, რომ მაჰდიაში ჩადირული გემის ბოლო რეისი უნდა მომხდარიყო ძვ.წ. 80-70 წლებში⁴⁰.

დათარილების კიდევ ერთი ამოსავალი: მაჰდიას განძის მკვლევარების აზრით, მაჰდიის კლინეების ბრინჯაოს მორთულობა ერთსა და იმავე სახელისნოში იყო დამზადებული, რომელიც, შესაძლოა, დელოსზე იმყოფებოდა⁴¹. ფეხების გარსაკრავები თითქმის იდენტურია ფორმიგში აღმოჩენილების. სავსებით შესაძლებელია, რომ ამავე სახელისნოში დამზადდა ფორმიგის დეტალებიც⁴². ხოლო ეს უკანასკნელი გემი ჩაიძირა ძვ.წ. 70 წლის მახლობლად⁴³. ბრინჯაოს ჭურჭელი მაჰდიის გემიდან თარიღდება ძვ.წ. 90-60 წწ. ფარგლებში⁴⁴.

³⁰ Сокольский 1971: 92.

³¹ სრული ინფორმაცია მაჰდია განძის შესახებ – Das Wrack. Der antike Schiffsfund von Mahdia, herausgegeben von Gisela Hellenkemper Salies, Band 1-2, Rheinland-Verlag GmbH, Köln, 1994; იხ. აგრეთვე Fuchs, 1963.

³² Hellenkemper Salies 1994: 6-8.

³³ აღმოჩენისა და ტვირთის ამოღების ისტორია – Merlin, 1909: 650 – 671; Merlin 1911: 556-565; Merlin, Lantier 1922; Merlin, Poinssot 1910: 29-62; Merlin, Poinssot 1911: 206-210; იხ. აგრეთვე Fuchs, 1963; Hellenkemper Salies 1994: 9-13.

³⁴ Faust 1994: 573.

³⁵ Faust 1994: 594-599, Abb. 34-39

³⁶ Faust 1994: სურ. 40-47.

³⁷ Merlin, 1909: 671; Merlin, Poinssot 1910.

³⁸ Reinach 1910: 557.

³⁹ Hellenkemper Salies 1994: 21-22.


⁴⁰ Rotroff 1994: 133-152.

⁴¹ Faust 1994: 593.

⁴² Faust 1994: 592.

⁴³ ფორმიგის აღმოჩენებზე იხ. ქვემოთ.

⁴⁴ Hellenkemper Salies 1994: 21-22.



სურ. 2. მანდიას კლინეს გრაფიკული რეკონსტრუქცია

ბოლო დროის პუბლიკაციაში მოცემულია ცლა გადაისინჯოს ეს თარიღი მეტი გაახალგაზრდაების მიმართულებით, ძვ.წ. 60 წ-მდე⁴⁵.

როგორც მოყვანილი ილუსტრაციებიდან ჩანს (ტაბ. XXVI, XXVIII-XXIX, სურ. 2), ვანის სარეცლის ფეხების გარსაკრავების უმრავლესობა ტყუპისცალივით ჰგავს მაჰდიის ეგზემპლარებს. ზომებშიც დიდი სიახლოვეა. მაჰდიასგან განსხვავებით, ვანში განძში არაა წარმოდგენილი დეტალების მთელი რიგი – ფეხების სადგრები, ჩარჩოების გარსაკრავები, ფულკურუმის ნაწილები. იგივე ეხება წარწერებსაც – ვანში მხოლოდ ერთ შემთხვევაშია ერთი ასო Z დადასტურებული.

ფორმიეი C. ანტიკურ ხანაში ჩაძირული გემი აღმოჩნდა ყუანის უბეში, კანსა და ანტიბეს შორის, 58 მ სიღრმეზე, მეჩეთან, რომელსაც გადაჰყურებს ფორმიეის სახელწოდებით ცნო-

ბილი კოშკი. ეს ზონა მეტად სახიფათოა ნაოსნობისათვის, რასაც მოწმობს აქვე აღმოჩენილი კიდევ ორი ჩაძირული გემის ნარჩენები. ერთი (Fourmigue A) რომაული გემია, ძვ.წ. I ს-ის დასაწყისის, დრესელ 1A ამფორების ტვირთით, მეორე XVIII საუკუნისაა⁴⁶.

ტვირთის ძირითად ნაწილს წარმოადგენდა ამფორები, სულ შემოინახა 116 ცალი. აქედან 111 Dressel IB ტიპისა იყო. ორი Dressel IA ტიპის და სამი Lamboglia 2 ტიპის⁴⁷. აქვე მრავალფეროვანი კერამიკაც იყო აღმოჩენილი.

ბრინჯაოს ნივთების მთავარ ნაწილს წარმოადგენდა საწოლების მორთულობის ელემენტები. მათი რაოდენობის მიხედვით გემზე გადაჰქონდათ მინიმუმ 6 საწოლი⁴⁸. აღმოჩენების დიდი ნაწილი ფეხების ფრაგმენტებითაა წარმოდგენილი (ტაბ. XXVII).

ფეხის ეს დეტალებიც, მაჰდიას ცალების მსგავსად, დიდ სიახლოვეს იჩენს ვანის აღმოჩენებთან. განსხვავება იმაშია, რომ ფორმიეის ფეხების გარსაკრავები უფრო დანაწევრებულია ვანთან შედარებით. ასე, III4 დეტალი აქ ორ ნაწილადაა დაყოფილი, თუმცა სინამდვილეში ერთიანად არიან ჩამოსხმული⁴⁹. ვანის IV ელემენტის მე-6 დეტალი აქ წარმოდგენილია № 1 ფეხის ანალოგიური ნაწილით, მაგრამ მე-7 დეტალი ამ შემთხვევაშიც ორადაა გაყოფილი – e-ფ სეგმენტები ცალკე ჩამოსხმული, h-i სეგმენტები – ცალკე⁵⁰.

დეტალების ნაწილზე ამოღარულია ბერძნული ასოები, ზოგჯერ წერტილოვანი, ზოგჯერ ხაზოვანი⁵¹. ვანში დადასტურებული Z ასო აქ წარმოდგენილია სხვა ორ ასოსთან ერთად.

საწოლის ხის ჩარჩო, განლაგებული ფეხის-თავსა და მომდევნო ელემენტს შორის იფნის მერქნისგან იყო დამზადებული. მისი კიდების შემომსაზღვრავი გარსაკრავის ზომები შეადგენს 4.0-4.2 სმ-ს⁵².

ფონტევილი. 1982 წლის მარტში ადგილ ფონტევილეში, გუბიოს შემოგარენში⁵³, მიწის

⁴⁵ Ridgway 2002: 69.

⁴⁶ Baudoin, Liou, Long 1994: 9; იხ. აგრეთვე Pollino 1975: 71-81.

⁴⁷ Baudoin, Liou, Long 1994: 10.

⁴⁸ Baudoin, Liou, Long 1994: 32.

⁴⁹ Baudoin, Liou, Long 1994: 31, fig. 14-15.

⁵⁰ Baudoin, Liou, Long 1994: fig. 14.

⁵¹ Baudoin, Liou, Long 1994: 34, fig. 16.

⁵² Baudoin, Liou, Long 1994: 39.

⁵³ უმბრიას რეგიონი პერუფას პროვინციაში. რომაულ ხანაში ცნობილი იყო Eugubium და Iguvium-ს სახელით. თავდაპირველად წარმოადგენდა უმბრების დასახლებას, უმბრების ენაზე - Ikuvium)

სამუშაოების დროს, სამაროვნის ტერიტორიაზე, აღმოჩნდა სამარხი, რომელიც შეიცავდა სარეცლის ბრინჯაოს ნაწილებს⁵⁴. საწოლის ფეხები სამარხი ორმოს კუთხეებში იყო აღმოჩენილი. ინვენტარიდან შემორჩენილი იყო მხოლოდ სტრიგილი და უცნობი დანიშნულების რკინის ნივთი. მიცვალებულის ნაშთები არ აღმოჩენილა.

სარეცელის ნაწილებიდან დადასტურებული იყო სამი ფეხის გარსაკრავები, ჩარჩოს რკინის ნაწილები, ბრინჯაოს გარსაკრავები და ორი *fulcra*. მეოთხე ფეხისაგან, რომელის სამარხის სამხრეთ-დასავლეთ კუთხეში უნდა ყოფილიყო, არანაირი კვალი არ შემორჩენილა.

ფეხების გარსაკრავების ყველა დეტალი ჩამოსხმულია, ჩარხზე დამუშავებული.

გარდა ფეხებისა, სამარხში აღმოჩნდა კლინეს ლითონის სხვა ნაწილებიც: კარკასის რკინისა და ბრინჯაოს გარსაკრავები, ფულკრუმის გარსაკრავები.

ფონტეკოლეს გარსაკრავები როგორც ელემენტების, ისე მათში დეტალების კომპლექტაციის მხრივ ვანის ცალებთან სრულ სიახლოვეს ამჟღავნებენ (ტაბ. XXVII3). კატალოგის ავტორები განსაკუთრებით ახლო ანალოგიად მოყავთ კლინე Civitella d'Arna-დან⁵⁵, თუმცა ხაზს უსვამენ მსგავსებას მაჰდიისა, დელოსის და ბურჟუა-ჟალეს ნიმუშებთანაც⁵⁶. ეჭვს იწვევს მათი თარიღი (ძვ.წ. II ს-ის პირველი ნახევარი) და მოსაზრება, რომ მათი წარმოების ცენტრი უმბრიაში უნდა ყოფილიყო, შესაძლოა პერუჯაში⁵⁷.

ფონტეკოლეს ფეხების ზომები ვანისაზე უფრო მცირეა და მათი სიმაღლე 56.5 და 60 სმ-ს შორის მერყეობს.

ამავე ჯგუფში ერთიანდება ბურჟუა-ჟალეს და კანოსას კლინეები (იხ ქვემოთ), ასევე უნდა აღინიშნოს ბასლერის მუზეუმში აღდგენილი კლინეს გარსაკრავები⁵⁸.

ბურჟუა-ჟალე. მდებარეობს სამხრეთ-აღმოსავლეთ საფრანგეთში ლიონიდან 35 კმ დაშორებით. აქ მიწის სამუშაოების დროს შემთხვევით აღმოჩნდა ბრინჯაოს 42 გარსაკრავი, რომლებიც ჰერცოგ დე ლიუენმა 1863 წელს გადასცა ლიონის სახვითი ხელოვნების მუზეუმს. თავდაპირველი რეკონსტრუქციის ის *ბიზელიუზად* (საპარადო ტახტი) იყო ჩათვლილი⁵⁹, შემდგომ ის აღდგა კლინეს სახით. მონაპოვარში სულ ცოტა ორი საწილოს დეტალია, მათ შორის ფეხებისა და ჩარჩოს გარსაკრავები⁶⁰.

ეს ფეხები (ტაბ. XXVI2) საერთო პროფილით საკმაოდ ახლოსაა ვანის ნიმუშებთან, თუმცა არის განსხვავებებიც⁶¹. ასე, ერთ შემთხვევაში, I_a სეგმენტი მირჩილულია დანარჩენ ორზე; II₂ დეტალი ასევე ორი, ერთმანეთზე მირჩილული ნაწილისაგან შედგება; IV_{a-b} სეგმენტები ერთ დეტალადაა ჩამოსხმული და სრულებით არ არის წარმოდგენილი ჩვენი IV ელემენტის c, d და e სეგმენტები, თუმცა გრაფიკულად ისინი აღდგენილია⁶². რაც შეეხება ელემენტებისა და დეტალების ზომებს, ისინი ვანისაზე უფრო მცირეა. ბურჟუა-ჟალეს ფეხების საშუალო სიმაღლე მხოლოდ 55-60 სმ-ს შეადგენს⁶³.

ბურჟუა-ჟალეს კლინეების გამოქვეყნებელი სტეფანი ბუშარი, კ. ბუბე-პიკოს კვალდაკვალ, ცდილობს დაათარილოს ისინი მათი ფორმების თავისებურებებიდან გამდინარე. მათი აზრით, დროის განმავლობაში შეინიშნება ფეხების სილუეტის შესქელება და შემჭიდროება⁶⁴. ყველაზე ადრინდელ ცალებს (მაგ., პრიენის⁶⁵) უფრო მსუბუქი სტრუქტურა ახასიათებს. კანოსას კლინე ახლოსაა ბურჟუას ცალთან, მაგრამ უფრო თხელია და მას კენტ პილი ძვ.წ. I ს-ის დასაწყისით ათარიღებს⁶⁶. მახდიის ფეხების სილუეტი არ განსხვავდება ლიონის ნიმუშებისაგან⁶⁷.

კანოსა. ბრინჯაოს გარსაკრავებიანი სარეცელი ვალტერის მუზეუმიდან, ბალტიმორი⁶⁸.

⁵⁴ Gens antiquissima ... 1990: 298-323.

⁵⁵ Rosi Bonci 1979: 181-193.

⁵⁶ Gens antiquissima ... 1990: 298-322.

⁵⁷ Gens antiquissima ... 1990: 323.

⁵⁸ Seiterle, Mutz 1982: 62-70.

⁵⁹ Boucher 1982: 173-174.

⁶⁰ Boucher 1982: 175.

⁶¹ Boucher 1982: 176-180, fig. 1-3, 6-18.

⁶² Boucher 1982: fig. 6.

⁶³ გაზომილია გრაფიკული ნახაზის მიხედვით – Boucher 1982: fig. 6.

⁶⁴ Boube-Piccot 1975: 262-265.

⁶⁵ Wiegand, Schrader 1904: 378 და შმდ., fig. 480; Richter 1966: fig. 308.

⁶⁶ Kent Hill 1952-1953: 61, fig. 4.

⁶⁷ Boucher 1982: 189.

⁶⁸ Greifenhagen 1930: 46, № 53, ტაბ. 47; Deonna 1938: 2, note 13.

თავდაპირველად ის ეკუთვნოდა ციურიხელ კოლექციონერს არნოლდ რუემს და სავარძლად აღიქმებოდა. როგორც ლიონის მუზეუმის შემთხვევაში, დასაწყისში პრევალირებული იყო მოსაზრება ამ სახის ნაკეთობების ბიზელიუმი-სადმი მიკუთვნების თაობაზე. მაგრამ პერნიკესა და რენსომის ნაშრომებიდან გამომდინარე მსგავსი დეტალები უფრო სარეცლებისთვის დამახასიათებლად ჩაითვალა⁶⁹. გრაიფენჰაგენმა 1930 წელს ის ჩართო სწორედ საწოლების სიაში (№ 53). 1936 წელს კოლექცია გაიყიდა, გაირა რამდენიმე მფლობელი და 1949 წელს ის შეიყიდა ვალტერსის გალერეამ. ამის შემდეგ ის გაიწმინდა და აღდგა სარეცლის სახით. ამ სახით ის გამოიფინა 1953 წელს⁷⁰.

სავსებით დასაშვებად მიაჩნიათ, რომ ეს საწოლი მომდინარეობს კანოსას (აპულია) რომელიდაც სამარხიდან.

შემოინახა 51 ნაწილი შესაძლებელი 52-დან. თუ არ მივიღებთ მხედველობაში ფეხის სადგარს, კანოსას ფეხის პროფილი არაფრით არ განსხვავდება ვანისაგან.


მთლიანად საწოლის სიმაღლე, ჩარჩოსა და ფეხისთავის ჩათვლით, 60 სმ უნდა ყოფილიყო, ე.ი. ვანისაზე ბევრად უფრო პატარაა.

დღონამ ეს საწოლი ახ.წ. I ს-ით დაათარილა,⁷¹ რასაც კენტ ჰილი არ ეთანხმება და ძვ.წ. I ს-ით ათარილებს⁷².

ზემოთ აღწერილი ჩამოთვლილი კლინეს ფეხების ბრინჯაოს გარსაკრავები მათი ფორმის საერთო მოხაზულობის და დეტალების მიხედვით ძალიან ახლოსაა აღმოჩენებთან მაროკოს ტერიტორიაზე (ვოლუბილისი, ლიქსუსი, ბანასა)⁷³.

უნდა აღინიშნოს, რომ ვანის ფეხების სიმაღლე სადგრების გარეშე (რომლებიც ვანის განძის შემადგენლობაში არ მოხვდა) ვარირებს 78-87 სმ-ს შორის. ჟუანის უბის ფეხების რეკონსტრუირებული სიმაღლეა 65 სმ⁷⁴, კანოსას საწოლოს ფეხების სიმაღლეა 60 სმ⁷⁵, ბურჟუან-ჟალესი – დაახლოებით 63 სმ⁷⁶. ფონტეველეს ფეხების სიმაღლეა 56.5 და 60 სმ-ს შორის. მაჰდიის ფეხების საერთო სი-

მაღლეა 93-99 სმ ხის ნაწილებისა და სადგრების ჩათვლით. ამდენად თუ მორფოლოგიური ნიშნებით ვანის გარსაკრავები დიდ მსგავსებას იჩენენ მთლიანად აღნიშნულ ჯგუფთან, ზომებით ყველაზე ახლოს ისინი მაჰდიის ნიმუშებთან არიან.



სურ. 3. სარეცლის ფეხის რეკონსტრუქცია, ვალტერსის გალერეა

ვანის განძის ჩაფლვის სავარაუდო დრო არ განსხვავდება სხვა კომპლექსების, განსაკუთრებით იმავე მაჰდიისა და ფორმიგის ჩადირული გემების თარიღებისაგან, რომლებსთვისაც გადამწყვეტი მნიშვნელობა აქვს Dressel 1B ტიპის ამფორების თარიღს (ძვ.წ. 80/70 წწ-დან საუკუნის ბოლომდე). შესაძლოა, ოდნავ დაძველებულია ფონტეველესა და ბურჟუან-ჟალეს კლინებისათვის ავტორების მიერ შემოთავაზებული

⁶⁹ Pernice 1900: 177-198; Ransom 1905: 32 ff.

⁷⁰ Kent Hill 1952-1953: 50.

⁷¹ Deonna 1938: 2, note 13

⁷² Kent Hill 1952-1953: 61; ამავე თარიღს იზიარებს ბუბე-პიკოც - Boube-Piccot 1975: 14.

⁷³ Boube-Piccot 1960: 187-205; Boube-Piccot 1975: Pl. 1,5, 6, 7, 41; Picard, 1947.

⁷⁴ Baudoin, Liou, Long 1994: 54.

⁷⁵ Kent Hill 1952-1953: 54.

⁷⁶ Boucher 1982: 186.

თარიღები და ისინი გარკვეულ კორექციას მოითხოვს.

ფორმიგის ფეხის სადგრების ბოლოები შემკული იყო ლომის თათების გამოსახულებიანი გარსაკრავებით⁷⁷. მსგავსი ლომის თათების გამოსახულებებით შემკული ფეხის სადგრები ცნობილია კანოსადან⁷⁸ და დელოსიდან⁷⁹. მსგავსი ლომის თათებიანი გარსაკრავები, რომლის საწყისები ძველ აღმოსავლეთშია საძიებელი, მეტად მიღებული მოტივია ანტიკური ხანის ავეჯისათვის⁸⁰.

ამასთან დაკავშირებით ერთი არააუცილებელი შენიშვნა ვანში ავეჯის სხვა დეტალების აღმოჩენის თაობაზე. ზემოთ უკვე გვქონდა

საუბარი ვანის „მოზაიკუტიატაკიანი“ ტაძარში საწოლის ფეხების დეტალების აღმოჩენის შესახებ. მათთან ერთად ნაპოვნი იყო გრიფონის თუ არწივის კლანჭებიანი გარსაკრავები, სულ სამი წყვილი, ანუ ექვსი ცალი (ტაბ. XXX)⁸¹. თავდაპირველად ისინი აღქმული იყო გრანდიოზული ჭუჭლის ან ტრიპოდების ფეხებად. მაგრამ უკანა ბრტყელი მხრიდან, მის ქვემო ნაწილში ღრუ სივრცის არსებობა უნდა მიუთითებდეს მათი რაღაც ავეჯის ფეხებისადმი მიკუთვნებაზე. როგორც წესი ამგვარი გარსაკრავები გააჩნდა მცირე ზომის მაგიდეებს⁸², მაგრამ ხომ არ არის შესაძლებელი, რომ ისინი თავის დროზე ამკობდნენ კლინეს ფეხებს?

Guram Kvirkvelia

THE BRONZE COUCH LEGS FROM THE HOARD FOUND IN VANI IN 2007

A hoard containing ritual metal objects was discovered at the Vani city-site – one of the centers of the 8th-1st cc. BC Colchis – by the Vani expedition of the Georgian National Museum led by D. Kacharava. In 2007, excavating a section of the defensive wall on the north-eastern edge of the site, a team headed by Dimitri Akhvlediani discovered a pit (length – 1.9 m, width – 0.85 m, depth – 0.9 m) cut deliberately in the bedrock. The pit was filled up with dozens of bronze and iron artefacts, among them stands, bowl, incense burner, different shaped lamps, iron lamp stands, arrowheads, and 10 sets of couch legs.

The bronze couch legs are close to other examples of the 1st century BC, such as those found on the ships sunk off the coasts of Mahdia and Formigue and in the material from the Fontevole burial (Gubbio). The Vani examples are very close to couch-leg from Bourgoin-Jallieu and those in the Walters Art Museum in Baltimore

⁷⁷ Baudoin, Liou, Long 1994: 31, fig. 14.

⁷⁸ Kent Hill 1952-1953: 5.

⁷⁹ Deonna 1938: 3.

⁸⁰ Deonna 1938: 6; ამ ელემენტის შესახებ იხ.

აგრეთვე Richter 1926: 80 ff.; Baudoin, Liou, Long 1994: 54.

⁸¹ სომტარია და სხვ. 1972: 177-178, სურ. 133-134.

⁸² Kacharava, Kvirkvelia 2008: 120; fig. 8. იგივე

მოსაზრება გამოთქმულია იმავე ტაძარში სამი არწივის ბრინჯაოს გამოსახულებებზეც Kacharava, Kvirkvelia 2008: 120; fig. 9.

ლიტერატურა

- კვიციანი თ. 2000:** რუსულ-ქართული სურათმოდერული ტერმინოლოგიური ლექსიკონი. თბილისი, 2000
- ფირცხალავა 2003:** საკრალური ინვენტარის ერთი ჯგუფი ვანის ნაქალაქარიდან. – იბერია-კოლხეთი, 1. მ. თბილისი, 2003, გვ. 86-97.
- ფუთურიძე რ. 1986:** ვანის ნაქალაქარის ცენტრალური ტერასის სამხრეთ-დასავლეთი ნაწილის არქეოლოგიური გათხრები. – ვანი, VIII. თბილისი, 1986, გვ. 34-51.
- ხოშტარია ნ., ლორთქიფანიძე ოთ., ფუთურიძე რ. 1972:** არქეოლოგიური გათხრები ვანში 1967 წელს. – ვანი, I. თბილისი, 1972, გვ. 175-185.
- Максимова М. И. 1979:** Артюховский курган. Ленинград, 1979.
- Максимова М. И. 1960:** О дате артюховского кургана. – СА, 3, 1960, с. 45-58.
- Михайловский И. Б. 1944:** Теория классических архитектурных форм. Москва, 1944.
- Сокольский Н. И. 1971:** Деревообрабатывающее ремесло в античных государствах Северного Причерноморья. Москва, изд-ство "Наука", 1971.
- Andrianou D. 2006a:** Andrianou, Chairs, Beds, and Tables: Evidence for Furnished Interiors in Hellenistic Greece, *Hesperia: The Journal of the American School of Classical Studies at Athens*, Vol. 75, No. 2 (Apr. - Jun., 2006), pp. 219-266
- Andrianou D. 2006b:** Late Classical and Hellenistic Furniture and Furnishings in the Epigraphical Record, *Hesperia: The Journal of the American School of Classical Studies at Athens*, Vol. 75, No. 4 (Oct. - Dec., 2006), pp. 561-584
- Barré L., Roux H., 1882:** Herculaneum et Pompéi, recueil général des peintures, bronzes, mosaïques, t. VII, Paris, 1862.
- Baudoin C., Liou B., L. Long 1994:** Une cargaison de bronzes hellénistiques. L'épave Fourmigue C à Golfe-Juan. – *Archaeonautica*, 12, 1994. pp. 5-143.
- Baughan E. P. 2013:** Couched in death. Klinai and identity in Anatolia and beyond. Madison, 2013.
- Boube-Piccot Chr. 1960:** Les lits de bronze de Maurétanie tingitane. – *Bulletin d'archéologie marocaine*, IV, 1960, p. 189-286.
- Boube-Piccot Chr. 1975:** Les bronzes antiques du Maroc, II, Le mobilier, Rabat, 1975.
- Boucher S. 1982:** Les lits grecs en bronze de Bourgoin-Jallieu (Isère). – *Gallia*, 40, 1982, p. 171-193.
- Bruneau Ph. 1976:** D'un Lacedaemonius orbis à l'aes Deliacum. – *Recueil Plassart*, Paris, 1976.
- Deonna W. 1938:** Le mobilier délien, *Exploration archéologique de Délos*, XVIII, Paris, 1938.
- Faust S. 1989:** Faust, Fulcra. Figürlicher und ornamentaler Schmuck an antiken Betten, 30è suppl. aux Mitteil. des deutschen archaeologischen Instituts, Roemische Abteilung, Mayence, 1989.
- Faust S. 1992:** Antike Betten mit figürlichem Schmuck. – “*Helvetia Archaeologica*” 23, 91 (1992), pp. 82-100.
- Faust S. 1994:** Die Klinen. – *Das Wrack. Der antike Schiffsfund von Mahdia*, herausgegeben von Gisela Hellenkemper Salies, Band 1-2, Rheinland-Verlag GmbH, Köln, 1994, S. 573-606
- Fuchs W. 1963:** Der Schiffsfund von Mahdia, Tübingen, 1963.
- Gens antiquissima ... 1990:** Gens antiquissima Italiae. Antichità dall'Umbria a Leningrado / Древности Умбрии в Ленинграде. Electa / Editori Umbri Associati. Perugia, 1990
- Greifenhagen, 1930:** A. Greifenhagen, Bronzekline im Parizer Kunsthandel. – *Mitteilungen des deutschen archaeologischen Instituts, Römische Abteilung*, 45, 1930, 3-4, p. 137-165.
- Greifenhagen A. 1932:** Delische Betten, II, Zu Plinius, *Nat.Hist.*, 33, 144. – *Mitteil. des deutschen archaeologischen Instituts, Athenische Abteilung*, 57, 1932, p. 41-45.
- Hellenkemper G. 1994:** Salies. Der antike Schiffsfund von Mahdia. Entdeckung und Erforschung. – *Das Wrack. Der antike Schiffsfund von Mahdia*, herausgegeben von Gisela Hellenkemper Salies, Band 1-2, Rheinland-Verlag GmbH, Köln, 1994, S. 5-26










- Kacharava D., Kvirkvelia G. 2008:** Viticulture and Dionysos in Hellenistic Vani. – Wine, Worship and Sacrifice (Ed. J. Y. Chi). New York, 2008, pp. 112-125.
- Kent Hill D. 1952-1953:** A Bronze Couch. The Journal of the Walters Art Gallery, Vol. 15/16, Special Technical Issue, 1952/1953, pp. 48-61.
- Koeppen A., Breuer C. 1926:** Geschichte des Möbels. Eine Stillehre für Bau- und Möbeltischler. Berlin – New York, 1904.
- Merlin A. 1909:** Les recherches sous-marines de Mahdia (Tunisie) en 1909. – Comptes rendus de l'Académie des Inscriptions et Belles-Lettres, 1909, 53, № 10, p. 650-671.
- Merlin 1911:** A. Merlin, Les recherches sous-marines de Mahdia (Tunisie) en 1911. – Comptes rendus de l'Académie des Inscriptions et Belles-Lettres, 1911, 55,7, p. 556-565.
- Merlin A., Lantier R. 1922:** Catalogue du Musée Alaoui, 2e suppl., Paris, 1922.
- Merlin A., Poinssot L. 1910:** Bronzes trouvés près de Mahdia. – Monuments et mémoires de la Fondation Eugène Piot, 17,1, p. 29-62.
- Merlin A., Poinssot L. 1911:** Bronzes de Mahdia ayant décoré une trière athénienne. – Comptes rendus des séances de l'Académie des Inscriptions et Belles-Lettres, 1911, 55,2, pp. 206-210.
- Oikonomos G. P. 1926:** Bronzen von Pella. – AM, Bd. LI, 1926, 75-97.
- Pernice E. 1900:** Bronzen aus Boscoreale. – Archäologische Anzeiger (Jdl 15), 1900, 177-198.
- Picard C., 1947:** Sur les klinés (“lecti deliacy”, “lecti Boethiacy”) de Volubilis, in “Revue Archéologique” (1947), pp. 200-210. ასევე ამავე სახელწოდებით : Comptes rendus des séances de l'Académie des Inscriptions et Belles-Lettres, 90e année, N. 4, 1946. pp. 669-676.
- Pollino A., 1975:** L'épave de la Fourmigue. – le Golfe Juan. – Cahiers d'archéologie subaquatique, IV, 1975, p. 71-81.
- Ransom C. 1905:** Studies in ancient furniture. Couches and beds of the Greeks, Etruscans and Romans. Chicago, 1905
- Reinach S. 1910:** Répertoire de la statuaire grecque et romaine, IV. Paris, 1910.
- Richter G. M. A. 1926:** Ancient Furniture. A History of Greek, Etruscan and Roman Furniture, Oxford 1926.
- Richter G. M. A. 1966:** The Furniture of the Greeks Etruscans and Romans, Londres, 1966.
- Ridgway B. S. 2002:** Hellenistic Sculpture III. The Styles of ca. 100–31 B.C.
- Rosi Bonci L. 1979:** Resti di klinai in bronzo da Arna. – Studi in onore di Filippo Magi, Nuovi quaderni dell'Istituto di Archeologia dell'Università di Perugia, I. Perugia 1979
- Rotroff S. 1994:** The Pottery. – Das Wrack. Der antike Schiffsfund von Mahdia, herausgegeben von Gisela Hellenkemper Salies, Band 1-2, Rheinland-Verlag GmbH, Köln, 1994, S. 133-152.
- Seiterle G., Mutz A. 1982:** Ein hellenistische Bronzebet im Basler Antiken-museum. – Antike Kunst, 25, 1982, pp. 62-70.
- Siebert G. 1973:** Mobilier délien en bronze, BCH, suppl. 1, 1973, p. 555-587.
- Siebert G. 1976:** Délos. Le quartier de Skardhana. – BCH, 100, 1976, p. 799-821.
- Sobottka-Braun U 1994:** Rekonstruktion der Klinen. – Das Wrack. Der antike Schiffsfund von Mahdia, herausgegeben von Gisela Hellenkemper Salies, Band 1-2, Rheinland-Verlag GmbH, Köln, 1994, S. 999-1006.
- Wiegand Th., Schrader H. 1904:** Priene. Berlin, 1904.

დანართი № 1. დეტალების ძირითადი ზომები

	1	2	3	4	5	6	7	8	9	10
ფეხის სავარაუდო სიმაღლე	72.7	81.8	-	76.5	86.3	82.0 ?	-	78.2	87.5	-
ელემენტი I										
სიმაღლე	6	5.5	5.0	-	-	-	5.0	-	-	5.7
მაქს. დმ	15.1	13.2	11.0	-	-	-	15.2	-	-	14.8
ქვედა დმ	9.5	8.7	8.6	-	-	-	9.6	-	-	9.2
ელემენტი II										
საერთო სიმაღლე	9.2	11.7	-	9.9	12.1	-	11.7	11.4	12.1	-
II2 დეტალის სიმაღლე	6.9	7.7	4.3	7.5	8.1	-	8.1	7.8	8.0	4.4
a სეგმენტის ზედა დმ	8.2	9.6	8.6	9.0	9.4	-	9.4	9.4	9.6	9.0
b სეგმენტის დმ	11.6	13.5	10.2	13.2	14.4	-	14.4	14.4	14.2	13.0
c სეგმენტის ქვედა დმ	4.2	4.6	-	4.8	4.5	-	5.0	4.9	4.5	-
II3 დეტალის სიმაღლე	2.6	4.4	-	3.0	4.3	-	4.1	4.4	4.5	3.0
d სეგმენტის ზედა დმ	8.4	9.2	-	10.2	9.3	-	9.1	9.3	9.2	8.8
e სეგმენტის დმ	4.6	5.4	-	5.0	5.0	-	5.0	5.5	5.0	5.0
f სეგმენტის ქვედა დმ	10	11.4	-	10.2	11.4	-	10.2	11.4	11.4	9.4
ელემენტი III										
საერთო სიმაღლე	18.4	20.5	13.9	18.1	20.4	19.4	17.6	12.0	20.9	17.9
III4 დეტალის სიმაღლე	7.7	7.8	-	7.6	8.3	7.2	-	7.9	7.6	-
a სეგმენტის ზედა დმ	11.2	12.1	8.8	11.0	12.0	10.5	11.3	12.4	12.2	11.1
b სეგმენტის დმ	4.5	4.5	4.0	4.6	4.0	3.8	4.6	4.4	4.4	4.8
c სეგმენტის დმ	12.6	13.5	7.2	12.6	13.4	11.9	12.4	13.6	13.6	12.0
III5 დეტალის სიმაღლე	11.0	13.2	-	10.8	12.7	12.6	-	13.3	13.6	-
d სეგმენტის დმ	7.2	9.2	5.0	8.0	8.6	8.8	8.8	9.0	9.2	8.8
e სეგმენტის დმ	13.0	13.5	7.2	12.0	13.4	12.0	12.4	13.6	13.8	12.0
f სეგმენტის სიმაღლე	8.6	10.8	6.1	9	10.5	10.8	8.7	11.1	11.0	8.0
f სეგმენტის ქვედა დმ	4.2	4.4	3.8	4.2	4.2	3.8	4.4	4.4	4.4	4.3

ელემენტი IV										
საერთო სიმაღლე	39.1	34.1	-	33.0	38.3	32.0	-	39.3	39.0	-
IV ₆ დეტალის სიმაღლე	18.5	17.5	13.8	18.1	18.1	-	-	18.3	18.4	-
IV ₇ დეტალის სიმაღლე	20.7	17.1	9.6	15.4	20.4	-	-	21.1	20.8	-
a სეგმენტის სიმაღლე	10.9	5.6	5.4	7.4	10.3	8.7	6.3	11.0	10.2	-
a სეგმენტის ზედა დმ	4.1	4.0	3.3	4.2	4.1	3.8	4.0	3.8	4.2	-
b სეგმენტის დმ	7.4	7.6	5.1	7.5	7.6	6.6	7.2	7.6	7.8	-
c სეგმენტის დმ	4.6	3.0	3.5	4.2	4.6	4.7	-	5.5	5.5	-
d სეგმენტის სიმაღლე	5.7	6.0	4.0	4.9	5.6	4.1	-	5.6	6.1	-
d სეგმენტის ქვედა დმ	15.0	14.9	9.0	15.0	15.8	13.6	-	15.6	15.7	-
e სეგმენტის სიმაღლე	2.7	3.8	1.6	3.5	3.2	2.7	-	2.9	3.1	-
e სეგმენტის ყელის დმ	4.7	2.8	3.6	4.4	4.6	3.8	-	4.8	5.0	-
f სეგმენტის დმ	8.2	7.9	4.2	8.0	4.4	7.0	-	8.5	8.4	-
g სეგმენტის სიმაღლე	12.6	13.1	8.5	11.1	12.6	11.0	-	12.3	12.4	-
h სეგმენტის დმ	4.1	3.8	-	4.8	4.6	4.0	-	4.5	4.0	-
i სეგმენტის ქვედა დმ	2.2	1.9	-	2.2	2.6	2.4	-	2.2	2.3	-

დანართი № 2. ძირითადი პროფილები

	<p>ლილვი, ლილვაკი – მრუდსაზოვანი არქიტექტურული პროფილი, რომელიც განივკვეთში ნახევარწრეს წარმოადგენს</p>
	<p>ა. ნაოთხალი ლილვი – წრის ერთი მეოთხედი ბ. შექცეული ნაოთხალი ლილვი</p>
	<p>წრეთარგი</p>
	<p>ა. ნაოთხალი წრეთარგი ბ. შექცეული ნაოთხალი წრეთარგი</p>
	<p>ბატიყელა – ორი რკალის შეუღლებით წარმოქმნილი პროფილი, სადაც ზედა რკალი შეზნექილია, ხოლო ქვედა – ამოზნექილი</p>
	<p>შექცეული ბატიყელა – 180 გრადუსით გადმობრუნებული ბატიყელა</p>
	<p>ქუსლი – პროფილი, შედგენილი ორი რკალის შეუღლებით, რომელთაგან ზედა ამოზნექილია, ქვედა კი შეზნექილი.</p>
	<p>შექცეული ქუსლი – 180 გრადუსით შეტრიალებული ქუსლი</p>
	<p>სკოცია – მრუდსაზოვანი პროფილი, რომელიც მიიღება სხვადასხვა რადიუსის მქონე ორი რკალის შეუღლებით</p>

ტაბულაციის და სურათების აღწერილობა




- ტაბ. I – 1-2. 2007 წლის განძის გაწმენდის სახვადასვა ეტაპები; საველე ფოტოები.
ტაბ. II-III – 2007 წლის განძის გაწმენდის სახვადასვა ეტაპები; საველე ნახაზები.
ტაბ. IV – ფეხი № 1 (სსნ 07:1-07:328), დეტალების ფოტოები.
ტაბ. V – ფეხი № 1, დეტალების და ელემენტების ნახაზები.
ტაბ. VI – ფეხი № 2 (სსნ 07:1-07:329), დეტალების ფოტოები.
ტაბ. VII – ფეხი № 2, დეტალების და ელემენტების ნახაზები.
ტაბ. VIII – ფეხი № 3 (სსნ 07:1-07:330), დეტალების ფოტოები.
ტაბ. IX – ფეხი № 3, დეტალების და ელემენტების ნახაზები.
ტაბ. X – ფეხი № 4 (სსნ 07:1-07:331), დეტალების ფოტოები.
ტაბ. XI – ფეხი № 4, დეტალების და ელემენტების ნახაზები.
ტაბ. XII – ფეხი № 5 (სსნ 07:1-07:332), დეტალების ფოტოები.
ტაბ. XIII – ფეხი № 5, დეტალების და ელემენტების ნახაზები.
ტაბ. XIV – ფეხი № 6 (სსნ 07:1-07:333), დეტალების ფოტოები.
ტაბ. XV – ფეხი № 6, დეტალების და ელემენტების ნახაზები.
ტაბ. XVI – ფეხი № 7 (სსნ 07:1-07:334), დეტალების ფოტოები.
ტაბ. XVII – ფეხი № 7, დეტალების და ელემენტების ნახაზები.
ტაბ. XVIII – ფეხი № 8 (სსნ 07:1-07:335), დეტალების ფოტოები.
ტაბ. XIX – ფეხი № 8, დეტალების და ელემენტების ნახაზები.
ტაბ. XX – ფეხი № 9 (სსნ 07:1-07:336), დეტალების ფოტოები.
ტაბ. XXI – ფეხი № 9, დეტალების და ელემენტების ნახაზები.
ტაბ. XXII – ფეხი № 10 (სსნ 07:1-07:337), დეტალების ფოტოები.
ტაბ. XXIII – ფეხი № 10, დეტალების და ელემენტების ნახაზები.
ტაბ. XXIV – განძში აღმოჩენილი სარეცლების ფეხების კრებითი ტაბულა
ტაბ. XXV – ვანის ნაქალაქარის ცენტრალურ ტერასაზე აღრე აღმოჩენი სარეცლის ფეხების გარსაკრავების დეტალები.
ტაბ. XXVI – სარეცლის ფეხების სეგმენტაციის სქემები: 1. ბასლერის მუზეუმი (Basler Antikenmuseum – Sieterle, Mutz 1982: Abb. 1); კანოსა, ვალტერსის გალერეა ბალტიმორში (Kent Hill 1952-1953); 3. მაჰლია (Faust 1994: ნახ. 32).
ტაბ. XXVII – სარეცლის ფეხების სეგმენტაციის სქემები: 1. ფორმივი (Baudoin, Liou, Long 1994: 31, fig. 14-15); 2. ფონტევეოლე (Gens antiquissima ... 1990: 298-323); 3. ბურჟუა-ჟალუ (Boucher 1982: 176-180, fig. 1-3, 6-18).
ტაბ. XXVIII – მაჰლიას სარეცლების ფეხების გრაფიკული რეკონსტრუქცია (Faust 1994: ნახ. 31).
ტაბ. XXIX – მაჰლიას სარეცლის გრაფიკული რეკონსტრუქციის ვარიანტები (Sobotka-Braun 1994: ნახ. 2).
ტაბ. XXX – გარსაკრავები არწივისა თუ გრიფონის კლანჭებიანი თათების გამისახულებით, ვანი.
სურ. 1 – სარეცლების ფეხების ელემენტებას და დეტალებად დაყოფის სქემა.
სურ. 2 – მახდიას კლინეს რეკონსტრუქცია
სურ. 3 – სარეცლის ფეხის რეკონსტრუქცია, ვალტერსის გალერეა


DESCRIPTION OF THE PLATES AND THE FIGURES

- Pl. I – Different stages of treasure clearing; field photos.
Pl. II-III – Different stages of treasure clearing;.
Pl. IV – Leg № 1 (inv. 07:1-07:328), photos of details.
Pl. V – Leg № 1, drawings of the elements and details.
Pl. VI – Leg № 2 (inv. 07:1-07:329), photos of details.
Pl. VII – Leg № 2, drawings of the elements and details.
Pl. VIII – Leg № 3 (inv. 07:1-07:330), photos of details.
Pl. IX – Leg № 3, drawings of the elements and details.
Pl. X – Leg № 4 (inv. 07:1-07:331), photos of details.
Pl. XI – Leg № 4, drawings of the elements and details.
Pl. XII – Leg № 5 (inv. 07:1-07:332), photos of details.
Pl. XIII – Leg № 5, drawings of the elements and details.
Pl. XIV – Leg № 6 (inv. 07:1-07:333), photos of details.
Pl. XV – Leg № 6, drawings of the elements and details.
Pl. XVI – Leg № 7 (inv. 07:1-07:334), photos of details.
Pl. XVII – Leg № 7, drawings of the elements and details.
Pl. XVIII – Leg № 8 (inv. 07:1-07:335), photos of details.
Pl. XIX – Leg № 8, drawings of the elements and details.
Pl. XX – Leg № 9 (inv. 07:1-07:336), photos of details.
Pl. XXI – Leg № 9, drawings of the elements and details.
Pl. XXII – Leg № 10 (inv. 07:1-07:337), photos of details.
Pl. XXIII – Leg № 10, drawings of the elements and details.
Pl. XXIV – Summary table of the couch legs from the Vani treasure.
Pl. XXV – Details of couch legs found on the Vani city-site Central Terrace in different years.
Pl. XXVI – Couch legs segmentation various schemes: 1. Basler Antiken-museum (Sieterle, Mutz 1982: Abb. 1); Walters Art Gallery (Kent Hill 1952-1953); 3. Mahdia (Faust 1994: fig. 32).
Pl. XXVII – Couch legs segmentation various schemes: 1. Fourmigue C à Golfe- Juan (Baudoin, Liou, Long 1994: 31, fig. 14-15); 2. Fontevole, Umbria (Gens antiquissima ... 1990: 298-323); 3. Bourgoin-Jallieu (Isère) (Boucher 1982: 176-180, fig. 1-3, 6-18).
Pl. XXVIII – Graphic reconstruction of Mahdia couch legs (Faust 1994: 6sb. 31).
Pl. XXIX – Graphic reconstruction of Mahdia *klines* (Sobottka-Braun 1994: 6sb. 2).
Pl. XXX – Bronze coats depicting clawed paws of eagles or griffins from Vani.
Fig. 1 – General scheme of the main elements and details of the *kline* legs used in the article.
Fig. 2 – Graphic reconstruction of the *kline* from the Mahdia shipwreck (Sobottka-Braun 1994: Abb. 32).
Fig. 3 – Graphic reconstruction of the bronze couch leg from the Walters Art Gallery (Kent Hill 1952-1953).




ცხვ. II






1



2



3

0 10 20 30 40 50 60 70 80 90 100 cm



1a



1b



2



3



4



5




6




7

07:1-07:328





07:1-07:329





1



2



3




4




5




07:1-07:330













1




2



3

07:1-07:333





1a



1b



2



3




4




5




07:1-07:334













1a



1b



2




3




3a



4









0 1 2

1





0 1 2

2




ՅՆԺ. XXVII









ტაბ. XXIX





კლინე III. რეკონსტრუქცია **a**
(სიგანე 107,5 სმ, სიგრძე 182 სმ)



კლინე III. რეკონსტრუქცია **b**
(სიგანე 103,6 სმ, სიგრძე 207,2 სმ)



კლინე III. რეკონსტრუქცია **d**
(სიგანე 103,6 სმ, სიგრძე 207,2 სმ)



კლინე III. რეკონსტრუქცია **e**
(სიგანე 88,8 სმ, სიგრძე 192,4 სმ)

